

მიხედვები მინს; მინს დაგენერირებული და გაფარმობული თქვენ!

+ ასაკი

Agro News.ge
New ასაკი

მარცხული საბრძოლო

ISSN 1987-8729



სამაცნევო-საინფორმაციო ჟურნალი

№3 (83), მარტი, 2018

VICTORIA

იონჯას უცველსავლიანი თესლი

უცველსავლიანი;
ფარიზი ღვრუ სშირი ფოთლებით;
ცალიწაფი თიბვის ჯერადობა – 3-8;
მცენარის სიმაღლე – 70-80 სმ;
თესვის რეპროდუციული ნორმა ჰა/ჰ – 25-30 კგ;
ვერგაფიული ფასეულობა % – 8;

შეიტანე დიდი რაოდენობით ფილას;
გამძლეა დაბადებებისადმი;
კარგად იზრდება ყოველი გათიპვის შემდეგ;
კარგად იპუჩება, აქვს სშირი ნაზარდი;
ითაცეპა როგორც შემოდგომით, ისე გაზაფხულზე.




შპს აგროვიტე



AgroVitae

თბილისი, წერეთლის გამზ. 116,
ტელ/ფაქსი: 2 341 678;
მობ.: 597 170 706, 597 170 703
ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com
www.agrovitafsc.com



უცვი მოსავლისთვის!
FOR RICHER HARVESTS!

შეიძინათ სიმიზის
სისტემის გადაწყვეტილი ქართული თასლი
ლომთაგორა!



ლომთაგორა
LOMTAGORA

www.lomtagora.com
info@lomtagora.com
Tel: 596 585 585

ნომერი 6 თავისითავსავთ:



**ახალი აგრარული
საქართველო**
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
მარტი, 2018 წელი.
№3 (83)

სარედაქციო კრიტიკა:
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუტეარ ებარიძე რეზონ ჯანიძე,
მიხეილ სოსაძე, თამარ სანიოძე, რუსულან
გვაგაშვილი (კრისტელტარი), ოქრინა ნოზაძე,
ნოდარ ბრავაგაძე ბექა გრიშვილი,
გიორგი ბარიაშვილი (მეცნიერა-
მეცნიერების რედაქტორის რედაქტორი),
ლავით ბირიკავე (რედაქტორი),
თამარ გაგაშვილი (მდგლ. ჭავჭავაძე რედაქტორი).
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აჯაღმეცობები, ბეკნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარიძეიძე (თავმჯდომარე),
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე,
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუტეარ ებარიძე,
პატრი კოლეუშვილი, ელგავა შეფაიძე,
შოთა ჭალაგანიძე, ზოად ბრეგვაძე შეფაიძე,
ელგუჯა გვეგეშვილი, გოგოლა მარგველაშვილი,
ანგ გულბანი, ლევან უჯამაჯურიძე,
ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯონჯიაძე,
ქრისტი კახნაძევილი, ადოლ
ტევშელაშვილი, ნატო კაკაბაძე,
კუკური ქერია, კასა ლაშვი, ჯებალ კაციაძე,
ნურია მემარიძევილი, ნიკოლოზ ზაზაშვილი,
მიხეილ ჭავჭავაძე, დავით ბოსტაშვილი,
ოსმებ სარჯველაძე, ნუტეარ სარჯველაძე,
თენგიზ ქურაშვილი, ანატოლი გორგაძე,
ლევან თორთლაძე, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობალაძე.

დაკაბადონა გიორგი მაისურაძე
უურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფაღი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with the principles of free press.
© საეტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივერიიკი“
(ციფრული ბიბლიოთეკა)
www.dsplace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული საქართველო
დაბიბჭვილი შპს „გამიმცემლობა გრიფონში“

გამოცემები:
„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული კუნიმიგური
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/ტელ: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

**6**

ერთული ვაზის ჯიშები საზღვარგარეთ

მეოცე საუკუნიდან იწყება ქართული
ჯიშების გავრცელება მის ფარგლებს
გარეთ. რქანითელი, საფერავი, თავკუ-
ვერი, მწვანე კახური, ჩინური და სხვა.

**7**

„ეიზაბავრული გატისტა“ ვაზის ველებიდან

პარმეზანის ტიპის ყველი სულ მცი-
რე სამი თვით მაინც უნდა ინახებოდეს
სპეციალურ გარემოში, თაროზე. როცა
გამოშრება და კანი გაუმაგრდება, უკუ-
ვე გამოსაყენებლად მზად არის, საერ-
თოდ კი რაც მეტი ხნისაა, უკეთესია.

**18**

ეზოტიკური ფრინველები

თუთიყუშები სამყაროს ერთ-ერთი
ულამაზესი წარმომადგენლებია და
დაჯილდოებული არიან საუცხოო
„ლაპარაკის“ უნარით.

შურალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეცეპტრებულია 2009 წლიდა.
სახეცეირო სტატიის მოცულობა იღებილი იყო 2018 წლიდა.
გამოყენებული ლიტერატურის თანხლავით არ უნდა აღმატებოდეს
1,5 ინტერვალით, სილიცია 12 ზომის შრიცვით ნაგებდ თაბახის
7 (შვილ) გვერდს.

ჩვენი რეკვიზიტები:

არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
(უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“
ს/ს 404856483
ს/ს „ბაზისბანკი“ BASGE22(220101956)
ა/ს GE23BS0000000034536405
მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

როგორც და როგორ დავაუგარი
თეილის პალები ეიმინები
არეარარაზებით და რა უდეა
გავითვალისწინეთი

4
5 საგაზაფულო წაყინვების
მოღონილეობი

9 ერთული რაისათვის პრემია
დისტანციის საქმეა

11 ქოდოს კალაციების
გამოყორების თავისებურებები

13 საპოსტო კარდას
გარებულების

15 გიდეონ, ისოდეონ გები
ფუტკარსა და გეოგრაფიაზე?

17 ულტრაგავრენა ვებგვირის
სამსახური

21 საზურის მავიებლები
დის გაუნდობი

22 კოგადან დასახული სვანეთის
ცოდნის გაურდებას
კარსავაზები

24 ლელა კიცირაული -
„როსტერის“
წარმატებული ვებგვირის

25 გაევთ კითხვა ვებგვირისთან?

25 გაევთ კითხვა აგროცომის?

26 საგანალითო ვებგვირი

27 კომიდარის მოვარას სარცხუანი
ცელის ნორმის განვითარების
მთავრი

28 „ჩვენ გესურს გლენი ფარმაცია
განვითარების“ - არსენ ნორავა

29 ერთული აგრარული გები
ყურადღების დისტანცია

როდის და როგორ დავამუშაოთ თხილის ბალები ქიმიური პრევარატებით და რა უდა გავითვალისწინოთ



რაღაც თხილი (დეაგენერი გარტის დასახისი) ზვავილობს. თხილის გაღის აირველი ქიმიური დამუშავებას (ცამლობა) ვათარიგთ ზვავილობაზე: საილენდშემცველი არეალაში+ინსეკტო-აპარატით. ან საილენდ შემცველი არეალაში+მინერალური ზეთით.

მეორე ქიმიური დამუშავება თხილის მცენარეს უტარდება მაშინ, როცა მცენარის ფოთლის ზომა მიაღწევს ზრდასრული ფოთლის ზომის 1/3-ს: სპილენძ შემცველი პრეპარატი+ინსექტო-აკარიციდი.

მესამე ქიმიურ დამუშავებას ვატარებთ მაშინ, როდესაც ჰერის დღე-დამური ტემპერატურა მიაღწევს 10-12 გრადუსს. ეს ნიშნავს რომ დღისით ტემპერატურა 20 გრადუსი და მეტია: ფუნგიციდი+ინსექტო-აკარიციდი+ფოთლოვანი გამოკვება.

მეოთხე ქიმიური დამუშავება მაშინ ხდება, როცა ნაყოფი ჩამოყალიბების სტადიაშია: ნაცრის და სიდამპლის სანინალმდეგო ფუნგიციდი+ინსექტო-აკარიციდი+ფოთლოვანი გამოკვება.

მეხუთე ქიმიური დამუშავება, მოსავლის აღებამდე 20-25 დღით ადრე: ფუნგიციდი +აკარიციდი+ფოთლოვანი გამოკვება

მეექვეს ნამლობა მოსავლის აღების შემდგომ პერიოდში, მოსავლის

აღებისას, დაფერთხვის თუ კრეფის პერიოდში ხდება მცენარის რიგი დაზიანებები, რომელიც შესაძლებელია გახდეს დაავადებების ინფექციის წყარო. პირველ რიგში დაზიანებულ ტოტებს ვაცილებთ და შემდგომ ვამუშავებთ: სპილენძ-შემცველი პრეპარატი+ინსექტო-აკარიციდი.

პესტიციდების და სასუქების შეჩევა უნდა მოხდეს სპეციალისტის მიერ თხილის ბალში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ნუ დაეყრდნობით ყველა მცენარეთა დაცვის საშუალების სარეალიზაციო ობიექტების (მაღაზიების) გამყიდველების და ასევე არასპეციალისტების ზეპირ რჩევებს თუ მითითებებს. პესტიციდების და სასუქების სარეალიზაციო ობიექტები შემოგთავაზებენ მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელიც მათ გააჩნიათ სარეალიზაციოდ. უკეთესია ჯერ მიმართოთ სპეციალისტებს და შესაბამის სამსახურებს. აგრეთვე შეგიძლიათ მიმართოთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს რეგიონულ სამმართველობს და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს, სადაც შესაძლებელია მიღლოთ კონსულტაციები და რეკომენდაციები არა მარტო თხილზე, არამედ ყველა თქვენთვის საინტერესო სასოფლო-სამურნეო კულტურაზე. ისინი ადგილზე დეტალურად შეისწავლიან თქვენს ბალში არსებული მდგომარეობას და მოგცემენ შესაბამის რეკომენდაციებს ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ამის შემდეგ შეგიძლიათ მიბრძანდეთ მცენარეთა დაცვის სამუშალებათა სარეალიზაციო ობიექტებში (მაღაზიებში) და შეიძინოთ მცენარეთა დაცვის ის პესტიციდები და სასუქები, რომელიც საეციალისტმა მიგითითათ.

მინდა აღვნიშნო, რომ მცენარეთა მავნე ორგანიზმებისგან დასაცავად მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია ქიმიური ნივთიერებების ე.ნ. პესტიციციდების გამოყენება. პესტიციდებს აქვთ უნარი ტოქსიკურად იმოქმედონ არა მარტო მავნებლებზე და დაავადებებზე, არამედ სხვა ორგანიზმებზეც, მათ შორის – ადამიანზეც. ამიტომაც თანამედროვე მცენარეთა დაცვის აუცილებელი პირობა და სავალდებულო მოთხოვნაა პესტიციდების სწორი და გონივრული გამოყენება, რაც ითვალისწინებს უსაფრთხოების წესების დაცვას გამოყენების და შენახვისა პერიოდში. აქედან გამომდინარე, რადგან ადამიანის ჯამრთელობა უპირველესია, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ თხილის ბალშის ქიმიური დამუშავება (შენამვლა) უნდა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ მცენარეთა დაცვის საშუალებებთან სამუშაოდ მომზადებულმა დატრენინგებულმა და გამოცდილმა სპეციალისტმა.

თავაზ ხასპინ,
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სამეცნიერებლო-ზემო სკანერთის
რეგიონული სამმართველო

საგაზაფხულო ნაყინვების მოძრაობი

პოლო ათცლეულში გლობალური კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ზეგავლენა სასოფლო-ქაოზონი კულტურაზე და ზოგადად ცოცხალ გარიმოზე აშკარად ცვლილება.

მიმდინარე წლის დასაწყისიც სიურპრიზებით იყო სავსე. მაშინ, როდესაც იანვრის დასაწყისში ამერიკის კონტინენტზე – ფლორიდისა და კაროლინის შტატებში ყინვამ -30-გრადუსს მიაღწია და 57 წლის შემდეგ ნიაგარის ჩანჩქერი ისევ გაიყინა, ხოლო აგსტრალიის კონტინენტზე ამ პერიოდში უჩვეულო სიცხე 47-50-გრადუსს აღწევდა, იტალიაში კი თებერვლის ბოლოს თოვლი და ყინვა მძვინვარებდა, ჩვენთან – საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ზამთრის პერიოდი მრავალწლიან საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით გაცილებით თბილი და ზომიერი იყო. დეკემბერში დღის საშუალო ტემპერატურა +10 – +15 გრადუსის, ხოლო ღამის +3 – +5 გრადუსის ფარგლებში მერყეობდა. მთებზე შეინიშნებოდა ნალექი თოვლის სახით, ხოლო ბარში თოვლი და ყინვა არ დაფიქსირებულა. დაახლოებით ანალოგიური გამოდგა იანვრის თვეც, კლიმატი – რბილი, შედარებით ნალექიანი თოვლისა და ყინვის გარეშე. რაც შეეხება თებერვალს – ის ნაკლებადნალექიანი და თბილი კლიმატური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, დღისით +13+15 გრადუსი, ღამით +4+6 გრადუსი სითბო. იყო დღეები, როდესაც +20+22 გრადუსს მიაღწია.

რა სიურპრიზებს გვიმზადებს გაზაფხული ასეთი რბილი ზამთრის შემდეგ? ალბათ ბევრი არასასურველი კლიმატური მოლოდინების მოწმე გავხდებით. ნათევამია, თუ ზამთარი მკაცრია, გაზაფხული და ზაფხული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნარმატებულია. მეაცრი ზამთარი მინიმუმამდე ამცირებს ჩვენთვის არასასურველ დავადებებს, ამასთან ასვენებს ნიადაგს, თოვლიანი ზამთარი ქმნის ნიადაგში ტენით უზრუნველყოფის ბალანსს. რაც შეეხება თბილ და უთოვლო ზამთარს, აქ ეს პროცესები მინიმალურია და, რაც მთავარია, ქმნის ხეხილოვან კულტურებში წვენთა მოძრაობის გააქტიურებისა და ყვავილობის დაჩქარების საშიშროებას.

რთულია პროგნოზი გააკეთო მიმდინარე წლის გაზაფხული-ზაფხულის პირობებისადმი, თუმცა, მრავალნლიანი დაკვირვებების შედეგად, რბილი ზამთრის შემდეგ შესაძლებელია მარტი-აპრილი იყოს უხევნალექიანი, ცივი, ზოგიერთ შემთხვევაში თოვლიანიც კი. თებერვლის თბილმა კლიმატურმა პირობებმა უკვე პროვოცირება გაუკეთა კუროვნებს, აყვავდა ტყემლები, ატმები, დაბერასხვა კულტურების (აქტინიდია, ვაზი) კვირტები. თუ მარტის პირველი დეკადა თბილი გამოდგა, მასიურად გაიღვიძებს კვირტები ყველა კულტურაზე, ხოლო ნაზი ყლორტები და მითუმეტეს ყვავილი ხომ უძლური



არიან მოსალოდნელი წაყინვების მიმართ, რომლის დროს ტემპერატურამ შესაძლოა -1-2 გრადუსამდე დაიწიოს, რაც სერიოზულ საშიშროებას შეუქმნის ბალების მოსავლიანობას.

ამიტომ გლეხმა, ფერმერმა უნდა იცოდეს, რომ განსაკუთრებით ყინვასაში დაბლობ ადგილებში თბილი ზამთრის შემდეგ თავი შეიკავოს ხეხილოვნების და ვაზის ნაადრევი გასხვლისაგან. თუ მცენარეებს ადრე გავსხლავთ, მაშინ როგორც წესი მათში კიდევ უფრო გაძლიერდება წვენთა მოძრაობა და დაინტება ნაადრევი ვეგეტაცია, ხოლო საგაზაფხულო წაყინვების შემთხვევაში ნაადრევად გასხლული კულტურები ძლიერ ზიანდებიან. წლევანდელი ამინდის პროგნოზებიდან გამომდინარე, ამ კულტურების გასხვლა 15-20 მარტის შემდეგ უფრო შედეგიანი იქნება. რაც შეეხება თხილისა და ციტრუსების ბალებს, აქ ამ პერიოდში მაქსიმალურად

უნდა ვეცადოთ ნიადაგის ზედაპირის გასუფთავებას, ამონაყრების გამოჭრას და რაც მთავარია ვარჯის ჩახშირებული ღერო-ტოტებისაგან გასხვლა ფორმირებას, რადგან ვარჯში მაღალი აერაცია მავნებელ დავადებათა წინააღმდეგ პრძოლის აუცილებელი ღონისძიებაა. ამასთან, აუცილებელია მცენარეთა დორული გამოკვება და ნარგაობის მითითებულ ვადებში წამლობა, რაც მოსავლის მიღების მაღალი გარანტია იქნება. ყველას გვახსოვს გასული 2017 წლის სავეგტაციო პერიოდი, როცა მიუხედავად თოვლიანი ზამთრისა და დაბალი ტემპერატურებისა, საგაზაფხულო წაყინვებს მაინც ჰქონდა ადგილი, აპრილის თვეში სერიოზულად დაზიანდა ვაზის, აქტინიდიის, სხვა ხეხილოვანი კულტურების ყლორტები და ყვავილები და შედეგიც არასახარბილი დაგვიდგა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საგაზაფხულო წაყინვებმა აღმოსავლეთ საქართველოს შიდა ქართლის მეხილების ზონას.

მიმდინარე წელს კი საგაზაფხულო წაყინვების ალბათობა შესაძლებელია მეტი იყოს, ამიტომ აქედანვე უნდა გავატაროთ ის აუცილებელი და პრევენციული ღონისძიებები, რაც დანაკარგებს შეგვიძირებს. ამ მიმართებით აუცილებელია ნარგაობისათვის მაღალი აგროტექნიკური ფონის შექმნა (კვება, ვარჯის ფორმირება, მავნებელ დავადებათა წინააღმდეგ პრძოლა). რაც ძლიერია მცენარე, მით დაბალია დაზიანება და პირიქით. ასევე მაღალეფექტურია შტამბის შეთეთრება და წაყინვების მოლოდინის პერიოდში ღამით თქვენს ბალებში წინასწარ მომზადებული თივის, ნამჯის, ანასხლავი ტოტების ან ძველი საბურავების და სხვა საშუალებების დაწვა – აბოლება.

გახსოვდეთ! გაზაფხული უმტკივნეულდ ჩაივლის, თუ ბალებს დავეხმარებით და გავატარებთ პრევენციულ ღონისძიებებს. მოსავალსაც მივიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში წლის დანარჩენ პერიოდებში მომტანი იქნება. რაც შეეხება თხილისა და ციტრუსების ბალებს, აქ ამ პერიოდში მაქსიმალურად

ზურაბ გაბრიელიძე,
სმმ დოკტორი

ქართული ვაზის ჯიშები საზღვარგარეთ



პირველმა მიწათმოქმედმა ადამიანმა შეარჩია უკეთესი ფორმები. იგი უვლიდა მას, აყენებდა დვინოს. რის შედეგადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ხალხური სელექციის“ საშუალებით ხუთასზე მეტი ჯიში მივიღეთ. ეს ჯიშები წარმომზბილია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების გამო მათ დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს არა მარტო აქ. ქართული ვაზის ჯიშებისადმი საერთაშორისო ინტერესი XIX ს. პირველი ნახევრიდან ჩნდება. პირველი მოკლე აღნერები ქვეყნდება პარიზში ვ. პიულის (1809), უან ფრანსუა გამბას (1824), ა. დეკანდოლის, გ. შარერის, ფრ. კოლენატის (1843-1844); ვიალასა და ვერმორელის პარიზში გამოცემულ მრავალტომიან ამპელოგრაფიაში (1903-1910) რამდენიმე ქართული ჯიშია აღნერილი (ლიტ. ვაზის გენეტიკური რესურსები საქართველოში. ნ.ჩხარტიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკოსი. 2015 წ.).

მეოცე საუკუნიდან ინყება ქართული ჯიშების გავრცელება მის ფარგლებს გარეთ. რქანითელი, საფერავი, თავკვერი, მწვანე კახური, ჩინური და სხვა მთელი რიგი დადებითი თვისებების და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მოცემის უნარით დიდ ფართობებს იკავებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. უფრო

ვაზის ჯიშებით მდიდარი ქართული გეოფონდი საუკუნეების განერაციონაში იქმნებოდა და დღეს ჩვენი მოვარდის უზარმატებელი 525 ჯიშით მოაღწია. ჩვენს ქვეყნაში მოვარდის უზარმატებელი და აღნერილია თანამედროვე კულტურული ვაზის (VITIS VINIFERA SATIVA) უშუალო ცინაარი, ველური სახეობა USURVAZI V.VINIFERA SILVESTRIS. ასევე ნანარია გარდამავალი ფორმი, რომელიც გაულტურის აროვანზე მიგვითითებს.

მეტიც, ისინი წამყვანი ჯიშებიც კი ხდებიან. როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ სულ უფრო მეტ სელექციურ პროგრამებში დაიწყეს ქართული გენოფონდის გამოყენება მაღალხარისხოვანი საღვინე და სასუფრე ჯიშების მისალებად მსოფლიოს წარმატებულ ჯიშებთან თანამონაწილეობთ. შედეგად გამოყვანილ იქნა რამდენიმე ათეული ჯიში, რომლებიც დღეს მეტ-ნაკლები წარმატებით არიან გავრცელებული მევნენახობის რეგიონებში.

რომელ სელექციურ პროგრამაში იყვნენ ჩართული ვაზის ქართული ჯიშები? რამდენი ახალი ჯიში იქნა გამოყვანილი და რომელი ჯიშების მონაწილეობით? რა სამეურნეო მიმართულების ჯიშები იქნენ სინთეზი-რებული ჩვენი გენოფონდის თანამონაწილეობით? რა ბედი ეწიათ მათ?

ჩვენს მიზანს შეადგინდა ქართული გენოფონდის მონაწილეობით შექმნილი ვაზის ახალი ჯიშების ანალიზი ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით. საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში სინთეზირებული იქნა რიგი ჯიშები-სა, რომელთა შექმნაში მონაწილეობა მიღებს ქართულმა ჯიშებმა წამყვან სორტიმენტთან ერთად. ისინი ქვემოთ მოგვყავს.

საქართველო – ანა ბეტი, ბესტავაშვილის თეთრა, ბესტავაშვილი შავი, დაისი, გორული თეთრი, გრძელმ-ტევანა, ვარდისფერი თითა, ვაზისუბნის მუსკატი, ვაზის უბნის სააადრეო, ზურგოვნის თეთრი, ზურგოვნის ვარდისფერი, თბილისური, ისანი, კახური შავი, მარიამის ყურძენი, მუსკატური რქანითელი, წედისური შავი და სხვა.

უკრაინა – ალეშკოვსკი, ანტეი მაგარაჩსკი, ბასტრადო მაგარაჩის, ბახჩისარაისკი. დანკო, იუბილეებინი მაგარაჩა, ლანკა, პურპურნი, რუბინოვი მაგარაჩა, პერვენეც მაგარაჩა.

აზერბაიჯანი – აზიზი, გიანჯევი, დრუჟბა, კარაგიოზი, კიაპაზი, მარგალიტა, მინგეჩაური. სლავა მიჩურინა და სხვა.

უზბეკეთი – ალმა-ატის მუსკატი, გუზალ კარა, დრუჟბა, რეკორდი, ტაშკენტსკი, ჩუდესხი. მაგარაჩსკი, საფერავი სევერნი, სკიფი.

ყაზახეთი – ილიისკი, ტიანშანსკი, ჩიმენსკი ნიმრავი.

უზბეკეთი – ალმატის მუსკატი, გუზალ კარა, დრუჟბა, ვირ-1, კიბრაისკი ჩორნი კრუპნი, მაგარაჩსკი, პოზდნი ვირ-ა, რეკორდი, სალიუტი, ჩუდესხი და სხვა

რუსეთი – ანაპის საადრეო, გრუშევსკი ბელი, დეკორატივნი, გრანატოვი, ეკატერინო ბურსკი, რუბინ კრასნოდარსკი, საფერავი სევერნი, და სხვა

მოლდავეთი – ბუდჯაკსკი, სტრაშენსკი, ფრუმოასა ალბე და სხვა.

უგრეთი – ბემ ტაბარნოკა, კეჩემეტური 441, კეჩემეტური 493 კოზმა ჩშ. V. 525

გულგარეთი – ნექტარი. დუნავსკი ლაზურ და სხვა.

გელგია – რეგალი.

გერმანია – ბარონ, სერნა.

იტალია – პიროვა 530, პროსპერი – 204.

როგორც ჩანს, ქართული ჯიშების მონაწილეობით სულ გამოყვანილია 100-ზე მეტი ჯიში. აქედან ყველაზე მეტი რაოდენობა შექმნილია საქართველოში, შემდეგ მოდის უკრანა და სომხეთი, ყველაზე მცირე – მოლდავეთსა და უნგრეთში. დანარჩენ ქვეყნებს მათ შორის შუალედური მდგომარეობა უკავიათ.

სელექციური ჯიშების გამოყვანა მიმდინარეობდა სამეცნიერო დანესებულებაში სხვადასხვა პიროვნებების მიერ.

ჯიშების გამოყვანის დროს სელექ-

ციონერები ქართული ჯიშების ჰიბ-რიდიზაციაში სხვადასხვა კომპინა-ციას იყენებდნენ. სულ სამი ჯგუფი გამოიყოფა.

1. ორივე მშობელი ქართული ჯიშია.
2. ერთ-ერთი მშობელი ქართულია. 3. რთული ჰიბრიდი, სადაც ქართული ერთ-ერთი კომპონენტია.

ხშირად ახლადგამოყვანილი ჯიში ერთვებოდა სხვა ჯიშების გამოყვა-ნაში – მაგ. „საფერავი სევერნი“ (სე-ვერნი X საფერავი), რომელმაც შემ-დეგ 4 ჯიშის გამოყვანაში მიიღო მო-ნაწილეობა. არსებული მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა. ყველა ჰიბ-რიდიზაციაში მონაწილეობას იღებს სულ 12 ქართული ჯიში: საფერავი, რქანითელი, თავეკვერი, დოდრელი-ბი (სინ ხარისთვალი კოლხური) ჩინუ-რი, მხარგრძელი, მწვანე კახური, ხიხ-ვი, გორულა, ალმურა შავი, ქართული თითა და ქისი. ახალი შექმნილი გენო-ფონდის ანალიზის შედეგად ჯიშები დაჯგუფებულები არიან: 1. საღვინე. 2. სასუფრე. 3. სასუფრე-საღვინე. ახლი ჯიშების გენეროლოგიური, ამ-ბელოგრაფიული და სამეურნეო პა-



რამეტრების შეფასების მიხედვით, ნათელია, რომ ამ ჯიშებს მოპოვებული აქვს გარკვეული პოპულარობა მკვლევართა შორის და მონაწილეობები ბევრ სელექციურ პროგრამაში. მიუხედავად გარკვეული პოპულარობისა, ქართული გენოფონდი მაინც მცირე რაოდენობის ჯიშებით არის ნარმოდებენილი სელექციაში. ვფიქ-რობთ, მას გაცილებით მეტი პოტენ-ციალი გააჩნია, სასარგებლო გენთა ნაკრები აქვს, რომელსაც შეუძლია

უფრო მნიშვნელოვანი როლი შეას-რულოს მევენახეობის განვითარების საქმეში.

მნიშვნელოვანია ახალი სელექციუ-რი ჯიშების შეგროვება და თავმოყრა საქართველოს საკოლექციო ნარგაო-ბაში მათი დაცვისა და შემდგომი შეს-წავლისათვის, როგორც ქართული გენოფონდის გავრცელების ერთ-ერ-თი ეტაპის მაჩვენებელი.

თამარ ვახტანგიშვი

პასალი პროდუქტი



„ხიზაბავრული ბატისტა“ ვაიორს ველებიდან


ხიზაბავრა ცნობილი სოფელია, ბა-ტისტა კი იტალიელი მისიონერის სა-ხელი. იტალიელი კათოლიკე მისიონე-რები დღესაც მთელ მსოფლიოში მოღ-ვანეობენ და ცდილობენ მისიონერულ საქმიანობასთან ერთად მორჩმუნე კათოლიკებს დაეხმარონ. ისინი სა-ქართველოშიც მისიონერობენ. ქართ-ველ კათოლიკებს სამშობლოს წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვით, ამის დასტუ-რად თუნდაც მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობის გახსენებაც ღირს.

როგორც კოოპერატივ „ვაიორს ვე-ლი 2017“-ის საზოგადოებასთან ურ-თიერთობის ხელმძღვანელი მარია ლომთათიძე მიხსნის, „ხიზაბავრული ბატისტას“ ისტორია 2005 წელს და-იწყო. სოფელ ხიზაბავრაში იტალიე-ლი მისიონერები იმყოფებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას დახმა-რება აღუთქვეს.

დღეს კოოპერატივი თანდათან ძა-ლას იკრებს, მეურნეობას ზრდის. ახ-

ლახანს, როგორც ქალბატონი მარია-მი მიხსნის, კოოპერატივი „ვაიორს ვე-ლი 2017“ საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში გაწევრიანდა. მარიამს იმედი აქვს, რომ ფერმერთა ასოცი-აციასთან ერთად ბევრ კარგ საქმეს ჩაუყრიან საფუძველს. ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემაც მხარდაჭერა აღუთქვა.

თვითონ მარიამი პროფესიით ექი-მია და მას დედათა და ბავშვთა ჯან-



საღი კვების და სხვა ეკოლოგიური პროდუქტის წარმოების საქმაოდ ამბიციური გეგმები აქვს. კომპანიის განვითარების დინამიკას თუ გავა- დევნებთ თვალს, მისი ამ მიზნის შეს- რულებას წინ ვერაფერი დაუდგება.

ქართული პარმეზანის, „ხიზაბავრუ- ლი ბატისტას“ მთავარი მესაიდუმლე, ტექნოლოგი, ქალბატონი ნანა და- თაშვილი პროფესიით ვეტერინარია, ხიზაბავრას საბავშვო ბაღის დირექ- ტორიც იყო. პარალელურად – საჯა- რო სკოლის ქიმიის მასწავლებელიც. დღეს საქართველოში ერთადერთია, ვინც მსოფლიოში სახელგარეთქმული იტალიური ყველის პარმეზანის დამ- ზადების არცთუ მარტივ ტექნოლო- გიას ზედმინენით ფლობს და თავისი შედევრით იტალიელებსაც აოცებს.

სოფელი ხიზაბავრაში ოდითგან საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო და აქ სა- ხელგარეთქმული მესხური ყველიც ინარმოებოდა.



ვაიოს ველების ალპური საძოვრე- ბი, რომელიც ზღვის დონიდან 2000- 2300 მეტრზე მდებარეობს, მომთაბა- რე მეცხოველეობისთვის საუკეთესო პირობებს ქმნიდა და ასევა დღესაც.

საბავშვო ბაღს უჭირდა, რის გამოც დირექტორმა გადაწყვიტა დამატე- ბითი შემოსავლის წყარო მოეძებნა და მცირე ფერმის გამართვა ითავა. მეულეც მხარში ამოუდგა.

ყველაფერი ხუთი ძროხით დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში მოვიდნენ იტალიელი მისონერები სოფელში. გაუკეირდათ, როცა ქალბატონი ნა- ნა დათაშვილი მათ მშობლიურ ენაზე, იტალიურად გაესაუბრა. სტუმრებმა წყალი მოითხოვეს. აბა, ჩვენში სტუ- მარს წყალს ვინ დაუჭერდა. საერთოდ კი, თუ მკითხავთ, მესსეთში საქართ- ველოში ერთ-ერთი საუკეთესო სას- მელი, წყაროს წყლებია. ასე გაიძა კავშირი ხიზაბავრასა და იტალიე- ლებს შორის.

ცოტა ხნის შემდეგ იტალიელები სპეციალისტებთან ერთად დაბრუნ- დნენ. სწორედ მაშინ ჩამოვიდა ბა- ტისტა, ცნობილი იტალიური ყველის პარმეზანის ტექნოლოგი. დაათვალი- ერეს ვაიოს ველები და მოიხიბლენ (ვინც აქ ნამყოფია, ამ მშვენიერების დავიწყება შეუძლებელია, მესხეთ- ში სხვა ხიბლი და ენერგია), აქაური რძით საუკეთესო მაღალხარისხისანი ყველის წარმოება შეიძლებათ.

თვითონ იტალიელებმა წაიყვანეს ნანა დათაშვილი იტალიაში და შეა- წავლეს იტალიური ყველის წარმოე- ბის ტექნოლოგია.

როგორც ქალბატონი ნანა ამბობს, ყველს ადრეც ამზადებდნენ, მაგრამ ადგილობრივი ტექნოლოგიით დამზა- დებული ყველით ბაზარი გაჯერებუ- ლია, არც ფასი აქვს და შეუძლებელია ასეთი სანარმო რენტაბელური იყოს,

ამიტომ მოვითათბირეთ და გადაწ- წყვიტეთ ჩვენი ბაზრისთვის ახალი პროდუქტი შეგვექმნა – პარმეზანის ყველის წარმოებაზე შევთანხმდით.

ორგანიზაცია „საქართველოს კა- რიტასის“ და იტალიელი მისიონერე- ბის დახმარებით ავაშენეთ ფერმა, შე- მოვიტანეთ დანადგარები და გავმარ- თეთ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყველის სანარმო.

აქ დღეს 200 სული მეწველი ფუ- რი ჰყავთ, ქართული პარმეზანით – „იტალიური ბატისტას“ საგემოვნო თვისებებით კი იტალიელებიც გაო- ცებულნი არიან.

ქალბატონი ნანა სისტემატურად მონაწილეობს ფესტივალებში და მისი ყველი „ხიზაბავრული ბატისტა“ ყო- ველთვის გამარჯვებულთა შორისაა. მიღებული აქვს „საუკეთესო ყველის“, „საუკეთესო ევროპული ყველის“ და „ორიგინალური ყველის“ ტიტულები. თავად ქალბატონი ნანა კი „საუკეთე- სო ფერმერის“ წოდებას ფლობს.

ქართული პარმეზანის დასამზა- დებლად ქართულ დედოზე დამზადე- ბული ფერმენტი გამოიყენება, რომე- ლიც ადგილზევე მზადდება.

პარმეზანის ტიპის ყველი სულ მცი- რე სამი თვეთ მაინც უნდა ინახებო- დეს სპეციალურ გარემოში, თაროზე. როცა გამოშრება და კანი გაუმაგრ- დება, უკვე გამოსაყენებლად მზად არის, საერთოდ კი რაც მეტი ხნისაა, უკეთესია.

პარმეზანის ყველის მსახავსი ყველი ევროპაში ბევრია და მათ ადგლოდე- ბარეობის მიხედვით აქვთ მინიჭებუ- ლი სახელი, როგორც ჩვენ „ხიზაბავ- რულ ბატისტას“.

ქართულ პარმეზანზე, „იტალიურ ბატისტაზე“ საკმაოდ დიდი მოთხოვ- ნაა და ფასიც შესაბამისი აქვს – კი- ლოგრამი 40-45 ლარი ღირს.

დღეს კოოპერატივში 18 ფერმერია გაერთიანებული. მას აქვს 400 ჰექტა- რი მინის ფართობი და კოოპერატი- ვების განვითარების სააგენტოდან, ბატიონი გიორგი მიშელაძისგან მუდ- მივად გრძელებული მხარდაჭერას.

როგორც ქალბატონი ნანა დათაშ- ვილი ამბობს, იმედი აქვს, რომ ანარ- მოონ თაფლში დაცველებული ყველი, ადგილობრივი ყველი ტენილი, განუ- რული მანინი, კარაქი და სხვა.

სურთ ჯიშების გადახალისება, ქარ- თულ წაბლასა და ადგილობრივ მეს- ხურ ჯიშებთან შეჯვარებული მაღალ- პროდუქტიული საქონლის გამრავლე- ბა, რომლებიც ადგილობრივ პირო-

ბებს კარგად შეეგუებიან, აგრეთვე ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა.

კომპერატივს ასევე სურვილი აქვს მეხორცული მიმართულებაც განავითაროს, რადგან აქ უმაღლესი ხარისხის ხორცის წარმოებაა შესაძლებელი.

მოსაგვარებელია გზის და ელექტროენერგიის პრობლემა. ადრე აქ იყო ელექტროენერგია და გზაც, მაგრამ დაინგრა და აღსადგენია.

თუ ყოველივე გაკეთდება, ვაიოს ველებზე მეცხოველეობის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებია და აქედან ქვეყანა დიდი სარგებლს ნახავს.

წელს მარტის ბოლოს, პალერმოში იტალიის ყველის ასოციაციის მიწვევით კომპერატივ „ვაიოს ველი

2017“-ის ქართული პარმეზანი „ხიზაბავრული ბატისტას“ პრეზენტაცია-დაგემოვნება გაიმართება. პრეზენტაციაზე კომპანიას ქალბატონი მარიამ ლომთათიძე წარმოადგენს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ქართული პარმეზანი იტალიაშიც აღაფრთოვანებს პარმეზანის მსგავსი ყველის მოვარულებს.

მოამზადა მისამა გუბუზილება

P.S. ვისაც სურვილი გაქვთ, შეიძინოთ და დააგემოვნოთ ქართული პარმეზანი „ხიზაბავრული ბატისტა“

დაუკავშირდით ტელეფონზე:

599 79 40 09



მარავიობა

ქართული ჩაისათვის პრდლა ღირსების საქმე



გასული 2 წლის მონაცემებით მავნებლის მიერ განადგურებულია თხილის, ციტრუსების, სხვა ხეხილოვანი, მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების მოსავლის 70 %, რაც შეფეროთებას იწვევს ამ კულტურების მწარმეობელ ფირმებში, გლეხებსა და ფერმერებში, რადგან მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ფარისანას მთლიანად განადგურება შეუძლებელია. მას უკვე თითქმის 10-15 წელინადია ებრძვის მსოფლიო.

მოსახლეობაში უკვე მუსიკებს აზრი იმის თაობაზე, რომ მათ დაუშვეს გამოუსწორებელი შეცდომა, სპონტანურად ჩაის პლანტაციების გადაწვის და ამონტკვეთის თაობაზე. გამოჩნდნენ ფერმერები და ფირმები, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ დასავლეთ სა-

პრესით და ფელევით ვრცელდება ინფორმაცია საქართველოში შემოსული გავრცელების „აზიური ფარმაცევტიკური“ წინააღმდეგ პრდლის ინფექციების გადასაცვლილების განვითარების თაობაზე. შემანილია სახალისებროვან კომისია და აა დანიშნულებით 2018 წლის სახელმწიფო პიუჯეტიდან გამოყოფილია 50 მილიონი ლარი.

ქართველოს ტენიან სუბტროპიკებში, მუსიკებში, წითელმიწა, ენერო ტიპის ნიადაგებზე ჩაის კულტურას ალტერნატივა არ გააჩნია. მათ სურვილი აქვთ ჩაის კულტურის გაშენების, მაგრამ ამას სჭირდება დრო და სერიოზული ფინანსური საშუალებები.

გასულ საუკუნეში საქართველოში ჩაის პლანტაციები ძირითადად გაშენებული იყო ჩინეთიდან, იაპონიიდან და ინდოეთიდან შემოტანილი ჯიშ-პოპულაციის ნარევი თესლით, რომელიც ჩვენთან შემდგომში იწოდებოდა ჩაის ადგილობრივი პოპულაციის სახელით. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1930) ფართოდ გაიშალა სელექციური მუშაობა ჩაის კულტურაში უხვემოსავლიანი და მაღალხარისხის ჩაის ჯიშ-პოპულაციების მიღებისა და წარმოებაში მათი დანერგვის მიზნით. ფასდაუდებელია აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ ჩაქვის ფილიალში გამოყვანილი 20-მდე ჩაის ჯიშ-პოპულაცია, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ასევე მნიშვნელოვანია სელექციონერების მიხეილ კოლე-

ლიშვილის და ტატიანა მუტოვკინას მიერ კლონური სელექციის შედეგად ჯერ კიდევ 1939 წელს შერჩეული ჩაის კლონი №257, რომელმაც წარმატებით გაიარა სახელმწიფო ჯიშთა გამოცდა და 1974 წლიდან დარაიონებულია ჯიშ „კოლხეთის“ სახელწოდებით.

ზამთარგამძლეობისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ჯიში „კოლხეთი“ მიეკუთვნება ჩინურ ფართოფოთლოვან ჩაის ფორმას, ხოლო მისი ფოთლების ღრა მწვანე შეფერვა დამახასიათებელია ინდოეთის მცენარეების ნაირსახეობისთვის. ეს ჯიში ძლიერ მზარდი ინტენსიური ტიპისაა, ხასიათდება ყლორტების უხვითი ნარმოქმნით და მაღალი რეგენერაციით. მისი სამფონტლიანი დუყი 1 გრ-მდე ინწონის. ვეგეტატიურად (კალმების დაფესვიანებით) გამრავლებული ჯიში „კოლხეთი“ ყველაზე ხარისხოვანია არსებულ სელექციურ ჯიშებს შორის. მისი ნორმალური დუყი შეიცავს 32-36% ტანის და 46-50% ექსტრაქტულ ნივთიერებას მაშინ, როდესაც სხვა ადგილობრივ პოპულაციებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად დაბალია.

„კოლხეთის“ წედლეულიდან დამზადებული პროდუქცია ხასიათდება ინდიოეთისა და შრი-ლანკის მაღალმთიანი რაიონებიდან მიღებული ჩაის გემოთი და არომატით. პროდუქციის უმაღლესი ხარისხი ფასდება 6,0-6,5 ბალით და შეესაბამება მსოფლიოს მაღალხარისხოვანი ჩაის სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ იგივე ჯიშის თესლით გამრავლებული მცენარეების წედლეულიდან დამზადებული ჩაის პროდუქცია არ ატარებს ასეთ სპეციფიკურ სუნს და არომატს, რაც გამოწვეულია თესლით გამრავლების დროს მიმდინარე დათიშვის პროცესებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯიშის თესლიდან მიღებული პროდუქცია ასევე პერსპექტიულია ჩაის ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით.

მრავალწლიანი მონაცემებით დადგენილია აგრეთვე, რომ ჯიშ „კოლხე-“

ველუროვდა 250-300 ჰა. ძველი ამორტიზებული პლანტაციების შეცვლას და ახლის გაშენებას.

1980-1985 წლებისათვის აღნიშნული პრობლემა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძალზე პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა, თუმცა 1990 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა შეაჩერა ამ მიმართულებით შრომა. განადგურდა ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი მილიონობით ლირებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებაში გაშენებული ჯიში „კოლხეთის“ და სხვა სელექციური ჯიშების 15000 ჰა. პლანტაცია. შემორჩა მხოლოდ საკოლექციო ნარგაობის სახით ჩაქვის ყოფილი ფილიალის და ანასეულის ექსპერიმენტული ბაზის ტერიტორიაზე.

წარსულის მცირე ექსკურსით გვინდა ჩვენს მოსახლეობას, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციით დაინტერე-

საკითხს აჭარის ხელისუფლების, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ჩაქვის ფილიალში ჯერ კიდევ შემორჩენილი უნიკალური ჩაის ჯიშების და კლონების გადასარჩენად, ამ ადგილის საქართველოში მეჩაიერობის განვითარების ისტორიულ მუზეუმად გადაქცევის შესახებ. უკვე 2 წელია ჩვენს წინადადებას გამოხმაურება არ მოჰყოლია. წუთუ შეუძლებელია აღნიშნული ტერიტორიის (10-15 ჰა) კერძო ინვესტიონისაგან (მშპ „აგრო მეტი“) გამოსყიდვა და მისი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემა. ჩვენ მივესალმებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაანონსებულ ღონისძიებას 2018-2020 წლებში 20 ჰა. ფართობზე ჩაის ახალი მაღალმოსავლიანი პლანტაციების გაშენების თაობაზე, რომელზედაც ნახევარ მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი, თუმცა, უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩინა ჩაქვის ფილიალის ტერიტორიაზე გაშენებული ჩაის უნიკალური ნაკვეთების გამოსყიდვა, მათი რეაბილიტაცია, სანერგე მეურნეობის მოწყობა და მოსახლეობის ჩაის მაღალმოსავლიანი ჯიშების სარგავი და სათესლე მასალით უზრუნველყოფა.

მძიმეა ის ისტორიული რეალობა, რაც საქართველოში მეჩაიერობის დარგმა აყვავებიდან სრულ განადგურებამდე განიცადა, მაგრამ 2016 წელს სახელმწიფომ გონივრული ნაბიჯი გადადგა, როდესაც მიიღო ჩაის პლანტაციების ალდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“, რომელიც ითვალისწინებს თანადაფინანსების პრინციპით ბენეფიციარების მიერ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას. 2016-2017 წლების განმავლობაში გურია-სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების ჩათვლით დარეგისტრირებულია 1200 ჰა-ზე მეტი სარეაბილიტაციო ფართობი. სამწუხაროდ, ქვეყნის მასშტაბით სარეაბილიტაციო პლანტაციებიც კი მინიმალურია, რაც ქვეყანაში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების აუცილებლობაზე მიუთითებს („ახალ აგრარულ საქართველო“ – №11-2017წ. №2-2018წ). სუბტროპიკულ ზონაში მოქმედმა ჩაის მწარმოებელმა კომპანიებმა, რომლებმაც ისარგებლებს სახელმწიფოს მიერ განეული შეღავათებით, რამდენიმე ასეული ჰა. გატყევებული ჩაის ნარგაობა გამოიყვანეს, გააკულტურეს,



თის „ვეგეტატიურად გამრავლებული პლანტაციები მეტ მოსავალს (10-12 ტონა ჸა-ზე) იძლევიან ადგილობრივი პოპულაციის ჩაისთან შედარებით (7-8 ტონა ჸა-ზე), ხოლო თესლის თაობა საშუალოდ ჸა-ზე 9-10 ტონა მაღალხარისხოვან წედლეულს იძლევა. განსაკუთრებით მაღალ მოსავალს ჯიში „კოლხეთი“ იძლევა აჭარა-გურიის და სამეგრელოს დაბალ, თბილ, ტენიან ზონებში. ამ მიზნით ბევრი რამ გაკეთდა გასული საუკუნის 70-90-იან წლებში. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კულევით ინსტიტუტში ანასეულსა და მის ფილიალებში თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობი ჩაის ვეგეტატიურად გასამრავლებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 20-ჸა ფართობზე. ყოველწლიურად 5 მილიონი ნერგის გამოსავლიანობით, რაც წარმოების პირობებში უზრუნ-

სებულ ბენეფიციარებს გავუჩინოთ ინტერესი და მოტივაცია საქართველოში არსებული ჩაის ჯიშ-კლონების პოტენციური შესაძლებლობებისა და პერსპექტივები ჩაის ახალი პლანტაციების ამ ჯიშებით გაშენების თაობაზე.

აღნიშნულის შესახებ ჩვენ ვწერდით ჯერ კიდევ 2016 წელს („ახალი აგრარული საქართველო“ №10). ვაფასებდით ამ მიმართულებით განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც ეხებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის ჩაქვის ყოფილი ფილიალის ტერიტორიაზე გაშენებული უნიკალური ჩაის ჯიშებისა და კლონების საცდელ-საზარმო, საკოლექციო და სათესლე პლანტაციების განადგურების ფაქტებს. იმავე წელში ვაყენებდით

და ექსპლოატაციაში ჩააყენეს (შპს „გეოპლანტი“, შპს „ნატურა თი კომპანი“, შპს „ლაზი“, შპს „ჯვარი-91“ და მრავალი სხვა). მისასალმებელია ოზურგეთში (ანასეულა) სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეულის“ ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შექმნა-ჩამოყალიბება. დასასრულს უახლოვ-დება ლაბორატორიული კორპუსის რეაბილიტაცია და კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე აპარატურით აღჭურვა. მიმდინარე წელს აქვე გათვალისწინებულია მავნებელ „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლაბორატორიის შექმნა-ფუნქციონირება, დაგეგმილია სანერგე ნაკვეთების მოწყობა, საველე საკოლექციო ნარგაობის გაშენება, მათზე მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება მოვლა-მოყვანისა და გა-დამუშავების საკითხებზე. გათვალისწინებულია ფერმერების მომზადება-გადამზადება, წარმოებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

ამ წერილის ავტორები ხშირად აქვეყნებენ სამეცნიერო, საინფორმაციო და სარეკომენდაციო წერილებს პრესაში, სამეცნიერო უურნალებში, გამოდიან ტელევიზიით. შეგვიძლია რამდენიმე ფაქტის მოყვანა. წერილის ავტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ზაურ გაბრიჩიძეს მიაჩნია, რომ ჩაის კულტურა უაღმიერნატივოა ჩვენს ზონაში, მით უმეტეს, როცა მოთხოვნა მსოფლიო ბაზაზე იზრდება, იგი ვალუტის შემომტან ერთ-ერთ



კულტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მისი თქმით, ბორცვიან, ფერდობიან ადგილებზე აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ჩაის კულტურა, როგორც მძლავრი ანტიეროზიული საშუალება. ამავე დროს ჩაი ერთ-ერთი სტაბილური კულტურაა, რომელიც ადგილად ეგუება ანომალიურ კლიმატურ პირობებს, გამდევა მავნებელ-დაგადებათა მიმართ და 50-60 წლის განმავლობაში იძლევა სტაბილურ მოსავალს. მეჩაიერბის დარგის აღმორინება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს, როდესაც საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, რადგან ჩვენ მათ შორის ერთ-ერთი ჩაის მნარმოებელი ვიქენებით და მაღალხარისხის პროდუქციაზე საექსპორტო მოთხოვნილება წლითი-წლობით გაიზრდება. მიგვაჩნია, რომ ჩვენი აქტიური პროპაგანდა აუცილებელია მოსახლეობის სწორი ინფორმირებულობისათვის. განსაკუთრებით ყველაფერი ეს საჭიროა დღეს, როდესაც გლეხი, ფერმერი საინფორმაციო ვაკუუმშია. ამ მხრივ

მისასალმებელია უურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“ მეჩაიერბის დარგის აღმორინების საკითხებზე პოპულარული წერილების გამოქვეყნება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ხელისუფლება მეცნიერთა მიერ შეთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეძლებს სუბტროპიკული მემცენარეობის, კარძოდ – მეჩაიერბის დარგის აღდგენა-განვითარებისათვის სასურველი პირობების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას.

**ზურ გაბრიჩიძე,
სმმ დოქტორი, პროფესორი.**

**რუსულან ტაბიატი,
სმმ აკადემიური დოქტორი.**

**ისამი გამილია,
სმმ დოქტორი.**

**სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.**

ექსპორტი გირჩევთ

ერლოს კლასიაციის განვითარების თავისებურებები

ერლოს მცაობებლები ეძღვონ და აპტიურად განიხილავთ ახალ მეთოდებს, რომელიც გათავისობს და ნაყოფის ხარისხის გაზრდაში დახმარება, რათა გაზარს უზროვნებელი მსოფლიო ბაზაზე იზრდება, სასაქონლო სახის პროდუქტით მიაღწია.

ამ მხრივ არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს უოლოს პლანტაციების ორგანული თუ მინერალური სასუქებით განოყიერების სისტემა.

დოქტორი ანჯელი გრენდა მოგვითხრობს, როგორ მოვახერხოთ უოლოს პლანტაციის განვიყიერება და კულტურის ოპტიმალური გამოკვება, რათა სასურველი შედეგი მივიღოთ.





აზოტოვანი სასუქის შეტანის დროს მნიშვნელოვანია შევიმუშაოთ ამ ინ-გრედიენტის გამოყენების სტრატე-გია. მრავალჯერადი გამოკვლევები ადასტურებს მოსავლიანობის მნიშვ-ნელოვნად გაზრდის შესაძლებლობას აზოტის ნორმის ერთხელ შეტანას-თან შედარებით, ნაწილ-ნაწილ, გარ-კვეული ინტერვალით 2-3 ჯერადად შეტანას. ფრთხილად იყავით, შეეცა-დეთ არ გადაჭარბოთ რეკომენდე-ბულ ნორმას, რადგან ეს ერთგვარად დაასუსტებს მცენარეს და იგი დაა-ვადებების, მავნებლებისა და დაპა-ლი ტემპერატურისადმი გამძლეობას დაკარგავს.

უოლოს ორწლიანი ნაზარდის გამო-საკვებად ჰექტარზე აზოტის რეკო-მენდებული დოზებია 50-80კგ. (სუფ-თა აზოტის შემცველობა).

თუ აზოტის ორ ნაწილად შეტანას გადაწყვეტთ, მიზანშეწონილია პირ-ველი – „სასტარტი“ შეტანა სავეგე-ტაციო პერიოდის, ხოლო მეორე – „მხარდამჭერი“ ყვავილობის დაწყე-ბის ნინ განახორციელოთ. უოლოს ჯიშებში, რომლებიც შემოდგომაზეც იძლევიან ნაყოფს, რეკომენდებულია აზოტის დოზის 20-30%-ით გაზრდა და პლანტაციაში სამ ეტაპად შეტა-ნა– სავეგეტაციო პერიოდის დაწყე-ბამდე, მაისის ბოლოს და ყვავილობის დაწყების ნინ.

დოქტორი გრენდა ასევე ეხება უო-ლოს პლანტაციის ფოსფორით გა-მოკვებასაც.

შეტანა გარკვეულ პერიოდებში ოპ-ტიმალური და მაქსიმალურად ეფექ-ტიანი იქნება.

პირველი, სასტარტო დოზა უნდა იყოს ამონიუმის და ნიტრატის ფორ-მით. ეს ფორმები საშუალებას აძ-ლევს მცენარეებს სრულფასოვნად აითვისონ აზოტი.

ექსპერტი რეკომენდაციას იძლე-ვა გამოიყენოთ აზოტის ნიტრატუ-ლი ფორმები, განსაკუთრებით კალ-ციუმის ნიტრატის სახით. კალციუმი დადებითად მოქმედებს სარისხიანი ნაყოფის ჩამოყალიბებასა და გამძ-ლეობაზე.

მესამე ჯერზე შეტანის დროს უო-ლოსთვის აზოტის ოპტიმალური ფორმა ასევე კალციუმის ნიტრა-ტია. ექსპერტი მნარმოებლების ყუ-რადღებას ამახვილებს მასზე, რომ ამ პერიოდში მიზანშეწონილია არ არის ამონიუმის ან შარდოვანას გამოყენე-ბა – აზოტის ხანგრძლივმა და ნელმა შეთვისებამ შეიძლება მცენარე დაა-სუსტოს.

დოქტორი გრენდა ასევე ეხება უო-ლოს პლანტაციის ფოსფორით გა-მოკვებასაც.

ხანგრძლივი კვლევები ცხადჰ-ყოფს, რომ უოლოს მოსავლიანობის გასაზრდელად აუცილებელია ნი-ადაგში ფოსფორის შემცველობის გაზრდა. მან განმარტა, რომ აშშ-ში P_2O_5 რეკომენდებული დოზები,

30%-ით მაღალია, ვიდრე ევროპა-ში, ხოლო იქ ფოსფორი ნიადაგში მაშინაც კი შეაქვთ, როცა ფოსფო-რის შემცველობა მაღალი ან ძალი-ან მაღალია (შესაბამისად 100 და 35 კგ. P_2O_5 /ჰა-ზე)

ფოსფორის სასუქის უფრო ოპტი-მალურ ფორმად დასახელდა სასუქი, რომელიც ამ კომპონენტის ნაწილს პოლიფოსფატის სახით შეიცავს. ორთოფოსფატები ნიადაგში უფრო მოძრავია და მაღალი ტემპერატურე-ბის დროსაც კი მცენარისთვის ხელ-მისაწვდომია. საინტერესო ეფექტი შეიმჩნევა ასევე ფოსფორის ფერტი-გაციის, წვეთოვანი რწყვით შეტა-ნის შემთხვევაში. MAP და Antibloc Mineral სასუქის ხსნარის ვეგეტაცი-ის დაწყებამდე გამოყენებამ, წყლით ან ორთოფოსფატის მუავიანი წყლით მორწყვასთან შედარებით, ფოთლე-ბის ზედაპირის გაუმჯობესება და ფესვთა სისტემის მასის გაზრდა გა-მოიწვია.

მესამე საკვანძო ინგრედიენტს კა-ლიუმი წარმოადგენს, რომელიც მო-სავლიანობის გაზრდასთან ერთად სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედების მიმართ მცენარის მდგრადობას ზრდის.

უოლო მეტად მგრძნობიარეა ნი-ადაგში ქლორის შემცველობის მი-მართ, ამიტომ იგი მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ამ ინგრედიენტის ნიტ-რატული ან სულფატის ფორმით. ნიადაგში კალიუმის ოპტიმალური შემცველობის შემთხვევაში კალიუმი შეაქვთ გაზაფხულზე მრავალკომპო-ნენტიანი სასუქის სახით.

თუ უფრო მეტი დოზებია საჭირო, ექსპერტი გირჩევთ იგი შემოდგომა-ზე კალიუმის სულფატის სახით გა-მოიყენოთ, რაც ამცირებს კალციუმს, მაგნიუმსა და კალიუმს შორის ანტა-გონიზმს.

ასევე ყურადღების გამახვილება ღირს კალიუმ-კალციუმის ნიტრატ-ზე, რომელიც საშუალებას იძლე-ვა შევიტანოთ აზოტოვან სასუქთან ერთად. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პლანტაციებს, რომელიც გაშენებუ-ლია მსუბუქ ნიადაგებზე, ასევე აზ-რი აქვს ხანგრძლივი უხვი ნალექების შემთხვევაში.

ლიარო: sadyogrody.pl

საბოსტნე ბარდას აგროტექნიკა

ბარდა ძართული სიტყვაა, რაც მხვიარა, გართმულ, გადახლართულ გუჩქ-მცენარეს იღენავს. გართლაც, საგრსონე ბარდა ასეთი თვისებაზის მცენა-რეა, ამითომაც ძართველება გურულება საგართლიანად უცოდა გას ბარდა.

ბარდა ეკუთვნის Legnasc-ის (პარ-კოსნების) ოჯახს, Pisum sativum-ის გვარს. ამ ოჯახში შედის აგრეთვე ჩვეულებრივი ლობიო და ცერცვი.

პარკოსანთა შორის წინათ ბარდას მოსახლეობის კვებაში მნიშვნელოვა-ნი ადგილი ეკავა, რომლის ხვედრითი წილი მე-18 საუკუნიდან მცველობითი შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი ლობიოს შემოტანით. ლობიოს კულტურამ საქართველოს დაბლობი რაიონებიდან მთლიანად გააძვევა ბარდა, ხოლო მისი მცირე-ოდენი ნათესები გვხვდებოდა რა-ჭა-ლეჩხუმის, ჯავახეთის, ნალკის, არაგვის ხეობაში და საქართველოს სხვა მაღალმთიან რაიონებში.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმა-ტური პირობები და კულტურის ბიო-ლოგიური თვისებები საშუალებას იძ-ლევა ბარდა ვთესოთ და მოვიყვანოთ წლის ისეთ პერიოდშიც, როდესაც სახნავ-სათესი მინების უმრავლესი ნანილი სითბოსმოვარული ბოსტნე-ული და მინდვრის კულტურებისაგან თავისუფალია.

საბოსტნე ბარდა ძვირფასი კვე-ბითი ლირებულების ბოსტნეულია. ტექნიკურ სიმწიფეში მისი პარკი(საქ-როვანი ბარდა) და მარცვალი(მწვანე ბარდა) შეიცავს ადამიანის ჯანმრთე-ლობისათვის აუცილებელი, წყალში ადვილად ხსნადი ცილების (ლიზინი, ლისტინი, ტიროზინი, არგანინი და სხვ.) კველაზე მეტ რაოდენობას, რო-მელსაც ადამიანის ორგანიზმი კარ-გად ითვისებს. ტექნიკურ სიმწიფეში მისი პარკი და მარცვალი მოიხმარე-ბა, როგორც საპარკე ლობიო. მისგან მზადდება კონსერვები, რომელიც გა-მოირჩევა სასიამოვნო გემოთი, რბი-ლი კონსისტენციით, ვიტამინებით, კალორიულობით, შაქრების და მინე-რალური მარილების სიუხვით. ეს ყვე-ლაფერა ანეიტრალუბებს კუჭ-ნანლავში ორგანიზმისათვის მავნე სიმუშავებს, რის გამოც ბარდა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ნოყიერ საკვებს, რო-მელიც წარმატებით გამოიყენება ბავ-შვებისათვის და დიეტურ კვებაშიც.

ბარდის კულტურას დიდი მნიშვნე-ლობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების

გადიდების საქმეში. გამოანგარიშებულია, რომ 1 ჰა ბარდის მწვანე მა-სის გათიბვის შემდეგ ნარჩენებისა და ფესვების სახით ნიადაგში რჩება 7 ტ ორგანული მასა. ნიადაგის ნაყო-ფიერების გადიდების მიზნით ბარდა ითესება, როგორც სიდერატი და ყვა-ვილობის ფაზაში ჩაიხვება ნიადაგ-ში, სადაც ბიოლოგიური და ქიმიური პროცესების მეშვეობით იშლება და აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერე-ბას. ბარდის ნედლი და ხმელი ნამჯის როლი უდავოდ დიდია მეცხოველეო-ბის განვითარების საქმეში.

ნიადაგის დამუშავება. საბოსტნე ბარდა, როგორც აზოტის ფიქსატორ-და-მაგროვებელი მცენარე, თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურისათვის, გარდა პარკოსნებისა, წარმოადგენს კარგ წინამორბედს. ის ბოსტნის თესლბრუნვის მინდორზე ითესება ორგანული სასუქების შეტა-ნიდან 3-4 წლის შემდეგ.

ნიადაგის დამუშავება. ბარდი-სათვის ნიადაგის დამუშავება იწყება წინამორბედი კულტურების აღების-თანავე. იმის გამო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ბარ-დის თესვის ვადები განსხვავებულია, ნიადაგის მომზადებაც სხვადასხვა დროს ხდება.


დასავლეთ საქართველოს მებოსტ-ნების ზონაში ბარდა შემოადგომაზე ითესება კომბოსტოს, სასილოს სი-მინდის, საბოსტნე სიმინდის, კიტრის, პომიდვრის და სხვა კულტურების აღების შემდეგ. მოსავლის აღებისთა-ნავე ტარდება ნიადაგის გასუფთავე-ბა ანარჩენებისაგან, 4-5 სმ სიღრმეზე

აჩეჩვა და აჩეჩვიდან 10-15 დღეში, როდესაც სარეველების თესლი გა-ლივდება და აღმოცენებას დაიწყებს, უნდა ჩატარდეს მოხვნა 25-28 სმ სიღ-რმეზე. დასავლეთ საქართველოში ხშირად შემოდგომა ნალექიანია, ამი-ტომ თესვა უნდა ჩავატაროთ მშრალ ამინდში ან ნიადაგის ზედაპირის სიმ-შრალის პირობებში.

აღმოსავლეთ საქართველოში ბარ-და ადრე გაზაფხულზე ითესება. წი-ნამორბედი კულტურების აღებისთა-ნავე საჭიროა ნიადაგის აჩეჩვა 4-5 სმ სიღრმეზე. როგორც კი აღმოცენებას დაიწყებს სარეველები, საჭიროა ნი-ადაგის მზრალად ხვნა 25-28 სმ სიღ-რმეზე. ხული ასე რჩება ზამთრის განმავლობაში და აღრე გაზაფხულ-ზე, როგორც კი ფართობები გასვლა შეიძლება, ტარდება სათესი ფართო-ბის გადახვნა ან კულტივაცია თანმი-ყოლებული ფარცხით.

სასუქები. ბარდას 1 ჰა ფართო-ბიდან გამოაქვს 90 კგ აზოტი, 30 კგ ფოსფორი და 60 კგ კალიუმი. მიუხე-დავად ამისა, არ ითხოვს დიდი რაო-დენობით სასუქებს, რაც იმით აიხს-ნება, რომ მისი ფესვები ღრმად მიღის ნიადაგში და ითვისებს სხვა ბოსტნე-ულისათვის მიუწვდომელ და ძნელად შესათვისებელ ფოსფორსა და კალი-უმს, კოურის ბაქტერიების საშუალე-ბით ახდენს ჰერის აზოტის ფიქსა-ციას და იყენებს თავისი გენერაციუ-ლი ორგანოებისათვის.

ბარდას კულტურები აზოტიანი სა-სუქების (40 კგ/ჰა) შეტანა საჭიროა თესვისწინა დამუშავების ან თესვის დროს, ხოლო ფოსფორიანი (60 კგ/ჰა) და კალიუმიანი (40 კგ/ჰა) სასუქები შე-ტანილი უნდა იქნას ნიადაგის მზრა-ლად ხვნის დროს. მინერალური სასუ-ქების გარდა საჭიროა მიკროსასუ-



ქების შეტანა, რომელთა ნაკლებობა იწვევს დაავადებებს, მცენარის დაკ-ნინებას და მოსავლის შემცირებას.

თესლის მოზადება და თესვა. ბარდას ავადმყოფობათა და მავნებელთა წინააღმდეგ საჭიროა თესლის ქიმიური პრეპარატებით წამლობა. თესვამდე უნდა დადგინდეს აღმოცენების უნარი და გაღივების ენერგია. პირველი კლასის თესლს 95% უნდა ჰქონდეს აღმოცენება და გაღივების ენერგია 80%.

დასავლეთ საქართველოს პირბებისათვის თესვის ოპტიმალური ვადაა შემოდგომა-ზამთრის პირზე და ადრე გაზაფხულზე თესვა(15 ოქტომბერი-15 მარტი)

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში(ქვემო ქართლი, გარდაბანი, კახეთის დაბლობი), სადაც მაღალი ყინვები არ იცის, შეიძლება თესვა შემოდგომით, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ხანგრძლივი პერიოდით გრძელდება ყინვები, თესვა საჭიროა ადრე გაზაფხულზე არა უგვიანეს 15 მარტისა.

თესვის ცენტ და თესვის ცორება. პრაქტიკაში იყენებენ ბარდის ვიწრომწკრივიან თესვას (მწკრივთა-შორის 8-10 სმ). ამ დროს ფართობის ერთეულზე ხდება თესლის თანაბარი განაწილება, უკეთესად ხდება მზის სხივები და სწრაფად მნიშვნელოვანი მარცვალი.

თესვის ნორმა დამოკიდებულია თესვის წესზე, დროზე, თესლის სიმსხოზე, ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, ნიადაგზე და სხვ. საშუალო საადრეო ჯიშების ვიწრომწკრივიანი წესით თესვის შემთხვევაში ჰა-ზე საჭიროა 1,2 მილიონი აღმოცენების მქონე მარცვალი. თესლის ჩათვალის სიღრმე დამოკიდებულია თესლის სიმსხოზე და ნიადაგის ფიზიურ შემადგენლობაზე. მსხვილი თესლი ღრმად – 7-8 სმ-ზე ითესება, ხოლო წვრილი შედარებით ზევით – 4-5 სმ-ზე. მსუბუქ ნიადაგში ჩათვალის სიღრმე 6-8 სმ-ია, ხოლო საშუალო და მძიმე თიხნარ ნიადაგში – 3-5 სმ. თესვისთანავე საჭიროა ნათესის მოტკეპნა გლუვზედაპირიანი საგორავებით თანაბარი აღმონაცენის მისაღებად და ნიადაგის ზედაპირის მოსასწორებლად.

ნათესის მოვლა. ბარდა ტენისადმი საკმაოდ მომთხოვნია, განსაკუთრებით – განვითარების პირველ ფაზაში. აუცილებელია პირველი მორწყვის ჩატარება დათესვისთანავე, ხოლო

შემდგომი მორწყვა საჭიროების შემთხვევაში. სარეველების საწინააღმდეგოდ აღმოცენებამდე 1-2 დღით ადრე საჭიროა ნათესში ჰერბიციდის შეტანა. რიგთაშორის პირველი გაფხვერება ტარდება აღმოცენებიდან 10-15 დღის შემდეგ, ხოლო დაანარჩენი – საჭიროებისამებრ. თუ აზომოვანი სასუქის შეტანა ვერ მოხერხდა თესვის წინ, საჭიროა მისი შეტანა ვეგეტაციის პირველ ფაზაში.

ბარდისათვის ყველაზე საშიში მავნებელია მემარცვლია. აგროტექნიკური ღონისძიებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თესლბრუნვის დაცვა, თავის დროზე მოსავლის



აღება/გალენვა, მცენარეული ნარჩენების განადგურება და აგროტექნიკური ღონისძიებების დროული ჩატარება. მემარცვლიას წინააღმდეგ საჭიროა თესლის ფუმიგაცია მოსავლის აღებისთანავე.

დაკორების ფაზაში ნათესები მუშავდება რამდენიმე სახის მავნებლის: ხვატარი, ბუგრი და სხვ. წინააღმდეგ სხვადასხვა ქიმიური პრეპარატებით. ფოსფამიდის 40% ემულსიის კონცენტრატი ყველაზე ეფექტური პრეპარატია აღნიშნული მავნებლების გასანადგურებლად, ნათესის ერთჯერადი დამუშავების დროსაც კი.

მოსავლის აღმადება. იმის მიხედვით, საბოსტნე ბარდა რა მიმართულებისაა, გამოსამარცვლი თუ საპარკე, აღების პროცესიც რამდენადმე განსხვავებულია. შაქროვანი (საპარკე) ბარდის მოსავლის აღება იწყება მაშინ, როდესაც პარკში მარცვლები 7-8 მმ-ს მიაღწევს, პარკის კრეფა წარმოებს თბილ ამინდში 2-3 დღეში ერთხელ და ცივ ამინდში – 4-5 დღეში ერთხელ.

მწვანე ბარდას მოსავლის აღება ტექნიკური სიმწიფის ფაზაში იწყება. ამ დროს ჭყინტი მარცვალი შეიცავს

ვიტამინების და შაქრების მაქსიმალურ რაოდენობას. ტექნიკური სიმწიფე ჯიშების მიხედვით ყვავილობის დაწყებიდან 20-22 დღის შემდეგ დგება. დაგვიანებით მოსავლის აღბისას მარცვალში შაქრების შემცირების ხარჯზე იზრდება სახამებელი, უარესდება მწვანე მარცვლის ხარისხი და დასაკონსერვებლად უარგისი ხდება, ხოლო ნაადრევად აღებისას მიღება შაქრებისა და ვიტამინების მცირე შემცველობის მქონე წყლიანი პროდუქტი.

მწვანე ბარდის მოსავლის აღებისას უნდა გავითვალისწინოთ ჯიშების ბიოლოგიური თავისებურება. საადრეო ჯიშები მაღალ აღნევენ და მაღალ ამთავრებენ ტექნიკურ სიმწიფეს, ხოლო საგვიანო ჯიშები – პირიქით.

გესხავლილი ჯიშები. შესწავლილია გრიბოვის, ყირიმის, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრის (ტავანი) და სხვ. მიღებული საპარკე და მწვანე ბარდას მრავალი ჯიში, რომელიც შეეგუა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და გამოავლინა პერსპექტიულობა. ეს ჯიშები: უეგალოვა 112, ნეისტომშიმი 195, ბროვცინა 28, პიონერი, პარამაუნტი, გელვეცია, კანიოკ გარბუნოკი, წყალნითელა, სკოროსპელი მოზგავონ, პაბედიტელი 33, ვეგასხოდი 240, მერგეტი, რანი კონსერვი, იზუმრუდი 20, ლინკოლნი, ალბანსკი, კრუპნოპლოდნი 20, გრიბოვსკი რანი 11, სკობოდა 10, დრუჟბა 409, მნოგოსემიანი 12, იულსკი 308, უსატი 5, აკაცია, საბოსტნე 1, მწვანეპარკიანი და სხვ.

რამდენიმე ჯიშის დახასიათება. „**უეგალოვა 112**“ – შაქროვანი(საპარკე) ბარდა, მაღალმოზარდი, პარკში მარცვალი 5-8 ცალია, პარკის საშუალო წონა ტექნიკურ სიმწიფეში 4 გ, საგვიანო ჯიშია. საკვებად გამოიყენება ხორციანი მწვანე პარკები ტებილი მწვანე მარცვლებით. 1000 ცალი მარცვალი ინონის 250-300გ-ს. აღმოცენებიდან ტექნიკურად მწიფე პარკის მოცემამდე საჭიროებს 60-80გ დღეს, ხოლო ფიზიოლოგიურად მწიფე მარცვლის მიღებამდე – 85-95 დღეს. რეკომენდებულია ინდივიდუალური საბოსტნე ნაკვეთებისათვის. ის მოითხოვს საყრდენებს.

„**პიონერი**“ – დაბალმოზარდი, საადრეო ჯიშია. აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფეში მარცვლის შემცირება 55-60 დღეს, ფიზიოლოგიურად მწიფე მარ-

ცვლის მოცემამდე – 75-80 დღეს. პარკი აქვს ხორციანი, 6-7 სმ სიგრძის, 4-5 მარცვლით. 1000 ცალი მარცვალი იწონის 200-230 გ-ს.

„წყალნითელა“ – მაღალმოზარდი საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე სჭირდება 80 დღე, ფიზიოლოგიურ სიმწიფემდე – 100 დღე. პარკი 12 სმ სიგრძისაა 6-8 მარცვლით. 1000 ცალი მარცვალი იწონის 250-300 გ-ს.

„იზუმრუდი 20“ – საშუალო სიმაღლის საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე საჭიროებს 95 დღეს. პარკის სიგრძე 9 სმ 6-8 მარცვლით. 1000 ცალი მარცვალი იწონის 220-250 გ-ს.

„შევანებარკიანი“ – საშუალო-საგვიანო ვეგეტაციის ჯიშია, ყვავილობიდან ტექნიკურ სიმწიფემდე საჭიროებს 85 დღეს, ბიოლოგიური სიმწიფე მიიღწევა 120 დღეში. პარკი 8 სმ სიგრძისაა 5-6 ცალი თესლით. 1000 ცალი მარცვალი იწონის 300გ-ს.

„საბოსტნე 1“ – საადრეო, დაბალმოზარდი ჯიშია. ყვავილობიდან ტექნიკურ სიმწიფემდე საჭიროებს 25-30

დღეს, ბიოლოგიურ სიმწიფემდე – 50-60 დღეს. მცენარეზე ფორმირდება 7 სმ სიგრძის პარკები 3-5 თესლით. 1000 ცალი მარცვალი იწონის 200-250 გ-ს.

სათესლედ საბოსტნე ბარდას მოსავლის აღება ხდება სრული სიმწიფის ფაზაში, როდესაც პარკები, მარცვალი და ღერო თითქმის გამზმარია და პარკები შეხებისას ადვილად იხსნებიან. ბარდის გალენვა შეიძლება მარცვლეული კულტურის სალენი მანქანით. გალენილი მარცვალი უნდა გაიწმინდოს, გაშრეს და გატარდეს მარცვალსაწმენდ მანქანაში. მარცვლის ტენიანობა დაყვანილი უნდა იქნას 14-15 %-მდე.

რაც შეეხება ხმელ ნამჯას, რომელიც მეცხოველობისათვის ნარმოადგენს მაღალი კვებითი ღირებულების საკვებს, გალენვისთანავე უნდა დაიზვინოს, გადაეფაროს ბრეზენტი და ნალექებისაგან დაცულ ფარდულში იქნას შენახული.

ნეტო ჭაბბები,
სმდომეტორი. სმზ აკადემიის
ბოსტნეული კულტურების
ეროვნული კოორდინატორი.



ჯიში „შევანებარკიანი“



ჯიში „საბოსტნე 1“

ახალგაზა მეცნიერებათვის

გიცდათ, იცოდეთ მატი ფუტკარსა და მეფეტკრიზე?

კითხვა-პასუხების ციკლიდან, რომელსაც ვავვეხვდოთ, ვჰიქოგთ, ახალგაზა მეცნიერები და ამ დარგით დაინტერესებული მაითხველი პევრ საინტერესო და საჭირო ინცორმაციას იღებენ.



V. მამრი ფუტკარი

89. რა როლს ასრულებენ მამრი ფუტკარები ოჯახში?

მამრი ფუტკარების ძირითადი დანიშნულებაა შეწყვილება ახალგაზრდა დედა ფუტკარებთან. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი მონაწილეობენ სკის თერმორეგულირების პროცესში.

90. რატომ ცხოვრობენ მამრი ფუტკარები შემოდგომაზე ოჯახებში ნაყოფიერ დედა ფუტკარებთან ერთად?

შემოდგომაზე სკაში მამრი ფუტკარების დიდი რაოდენობა მიუთითებს დედა ფუტკარის არადამაქმაყოფილებელ ხარისხზე. ისინი აგრეთვე შეიძლება დარჩენენ იმ შემთხვევაში, თუ გამრავლების ინსტიქტი ისევ აქტიურია, ხოლო ოჯახში ბევრი ახალი თაობაა.

91. რით აიხსენება ზამთარში ზოგიერთ ოჯახში მამრი ფუტკარების არსებობა?

ფუტკარები მამრებს ზამთარში ტოვებენ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ არის დედა ფუტკარი ან არის, მაგრამ უნაყოფოა.

სკის გამოსაზამთრებელი ადგილიან გატანიდან პირველი თვეს განმავლობაში მამრი ფუტკარები იღუპებიან.

92. როდის აღნევს მამრი ფუტკარი სქესობრივ სიმწიფეს?

მამრი ფუტკარი აღნევს სქესობრივ სიმწიფეს და მზად არის შეწყვილებისათვის უჯრედიდან გამოსვლიდან 12-14 დღეში. ისინი დღის განმავლობაში სკიდან საშუალოდ 3-ჯერ გამოფრინდებიან. სქესობრივად მომნიშვნებული მამრი ფუტკარი ფრენს სამუალოდ 30 ნო-მდე.

93. აღინიშნება თუ არა ფუტკარის ხანგძლივობის სხვაობა სხვადასხვა სახეობის მამრ ფუტკარებს შორის?

ც.ნ. ნაზინმა (1987) გამოავლინა სხვადასხვა სახეობის მამრი ფუტკრებს შორის ფრენის ხანგრძლივობის მკვეთრი სხვაობა.

ფრენის ხანგრძლივობა ცენტრალური რუსეთის მამრი ფუტკრებისა შეადგენს 37,7 წთ, იტალიურის – 29,3 წთ, კავკასიური რუსის – 25,5 წთ. შენყვილებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობაა საშუალოდ 24 წთ.

94. ახდენს თუ არა ოჯახის პროდუქტიულობაზე ზეგავლენას სკაში მამრი ფუტკრების არსებობა?

სკაში პროდუქციის რაოდენობა მათი ყოფილი არ იზრდება. პირიქით



– თუ მამრი ფუტკარი უფრო მეტია, ვიდრე მუშა, მაშინ ოჯახი სუსტად მუშაობს თაფლის შეგროვებისას.

95. არის სხვაობა იმ მამრი ფუტკრებს შორის, რომელიც გამოჰყავს ნორმალურ დედა ფუტკარსა და ცრუ დედა ფუტკარს შორის?

დიას, არის. ნორმალური დედა ფუტკარი დებს კვერცხებს მამრების-თვის განკუთვნილ უჯრებში და მათგან გამოდის ნორმალური მამრები, რომლებსაც აქვთ გამრავლების უნარი, ხოლო ცრუ დედა ფუტკარი დებს კვერცხებს მუშა ფუტკრებისთვის განკუთვნილ უჯრედებში, მათგან კი გამოდან პატარა, განუვითარებელი და გამრავლების უნარის არ მქონე მამრი ფუტკრები.

96. ერთ-ერთ ძლიერ ოჯახში ფუტკრებმა ვერ გამოიყვანეს ერთი მამრიც კი. რითი შეიძლება აიხსნას ეს შემთხვევა?

სავარაუდოდ, დედა ფუტკარს ჰქონდა რაღაც ნაკლი, რომელმაც

ხელი შეუშალა გასანაყოფიერებელი კვერცხების დადებაში.

97. შეუძლიათ თუ არა გამოზამთრებულ მამრი ფუტკრებს შენყვილდნენ დედა ფუტკართან?

შეუძლიათ. ეს დამტკიცებულია ცდებით.

98. რამდენად მართალია, როდესაც ამბობენ, რომ მამრი ფუტკრები გამოყავთ მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებიც ემზადებიან ნაყარის შესაქმნელად და რა მოხდება, თუ არ დაგუშვებთ მამრი ფუტკრების გამოყვანას, ოჯახი ნაყარს არ შექმნის?



მამრი ფუტკარი გამოყავს ნების-მიერ ოჯახს, ემზადება იგი ნაყარის შესაქმნელად თუ არა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში მამრი ფუტკრების რაოდენობის მკვეთრი ზრდა ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ოჯახი ემზადება ნაყარის შესაქმნელად.

99. რა სიმაღლეზე დაფრინავენ მამრი ფუტკრები შენყვილების დროს?

რუტნერი თვლის, რომ საპარო სივრცეში არსებობს ორი ზონა: 1-დან 8-მ-მდე სიმაღლეზე დაფრინავენ მუშა ფუტკრები, 10 მ-ზე ზევით კი მამრი და დედა ფუტკრები, რაც მნიშვნელოვნად უმარტივებს მათ ერთმანეთის მოძებნას.

100. საფუტკრები არის ორი სახეობის მამრი ფუტკარი. ხომ არ შენყვილდებიან ახალგაზრდა დედა ფუტკრები უპირატესად თავის სახეობის მამრებთან?

რუტნერმა (1955) ჩაატარა საინტერესო ცდა. ადგილზე, სადაც არ იყო ფუტკარი, შეიყვანა ორი სხვადასხვა

სახეობის ოჯახი: მუცელზე შავი და ყვითელი რგოლებით. იქ შენყვილდა ორივე სახეობის 140 დედა ფუტკარი. შემდეგ ნაყოფიერი დედა ფუტკარი ჩასვეს სკაში და დააკვირდნენ მის შთამომავლობას. მეცნიერმა დაადგინა, რომ არცერთ დედა ფუტკარს არ ჰყოლია მხოლოდ ერთი სახეობის შთამომავალი (ან მარტო შავი, ან მარტო ყვითელი). დედა ფუტკრები წყვილდებიან უფრო ძლიერ მამრ ფუტკრებთან მათი სახეობის მიუხედავად. ბოლო წლებში გამოვლენილი იქნა დედა ფუტკარის უნარი გასამრავლებლად აირჩიოს მამრი ფუტკარი სხვადასხვა სახეობებიდან. იზოლირებულ ადგილზე თანაბარი რაოდენობის სხვადასხვა სახეობის მამრი ფუტკრების პირობებში (ცენტრალური რუსეთის, კავკასიის მთის რუსი და იტალიური) ცენტრალურ რუსეთში დედა ფუტკარის შეწყვილება მოხდა მხოლოდ ცენტრალური რუსეთის მამრ ფუტკართან. ფაქტია, რომ სხვადასხვა სახეობის დედა ფუტკარი გამოყვას სხვადასხვა რაოდენობის ან შემადგენლობის ფერომონს. (ვ.ი. ლებედევი, ნ.გ. ბილაში 1991).

მამრი ფუტკრების მიზანმიმართული მოძრაობა დედა ფუტკრისაკენ ხდება მხოლოდ ფერომონების დინებაში. მამრი ფუტკრები მიღორინავენ დედა ფუტკარისაკენ უწყვეტ ნაკადად, რომელიც ფორმით ჰგავს კომეტას. ფრენისას ზოგიერთი მამრი წინ გაიჭრება, ზოგი კი ჩამორჩება და ადგილი აქვს ბუნებრივი სქესობრივ შერჩევას.

101. რატომ კვდება მამრი ფუტკარი შენყვილების შემდეგ?

შენყვილების მომენტში ხდება მამრი ფუტკრის ასოს ამობრუნება, რის გამოც მისი შიგნითა მილის კედლები გარეთ აღმოჩნდება. ასოს სრული ამობრუნება სრულდება ბოლევების ამობრუნებით. შენყვილებისას ამობრუნებული ასო ხვდება იქ, სადაც განთავსებულია დედა ფუტკარის ნესტარი, ხოლო გვერდითი საცეცები – გასამრავლებელ უბეებში, რათა შენყვილების დროს დედა ფუტკრის იყოს დაჭერილი. ასოს ამობრუნებისას მამრი ფუტკარი მომენტალურად კვდება.

102. შეიძლება მიღებულ იქნას ადრე გაზაფხულზე სრულყოფილი მამრი ფუტკარი ცრუ დედა ფუტკარისა-

გან, თუ ზამთარში ისინი დარჩებიან სკაში?

სპეციალურად მომზადებული
ოჯახი ცრუ დედა ფუტკრით კარგად
იზამთრებს და ადრე გაზაფხულ-
ზე გაამრავლებს მამრ ფუტკრებს.
ეს ოჯახები სისტემატურად უნდა
გაძლიერდეს დახურული ფუტკრის
მატლებით. თუმცა, ნაადრევი მამრი
ფუტკრების ეფექტურობა დაბალია,
რადგან დედა ფუტკართან შეწყვი-
ლებისათვის საჭიროა ტემპერატურა
იყოს არანაკლებ 22°C , რაც ძალიან
იშვიათია ადრე გაზაფხულზე.

103. ზამთარში ორ ოჯახში შევი-
და ადრე შემოდგომაზე კარგ ამინდ-
ში გამოყენილი ახალგაზრდა დედა
ფუტკარი, მაგრამ მათ არ დაუწყიათ
კვერცხის დადება. შეიძლება ასე-
თი დედა ფუტკარი შენწყილდეს გა-
ზაღხულზე?

მამრი ფუტკრებისა და კარგი ამინ-დის პირობებში დედა ფუტკრები შე-იძლება შეწყვილებულიყვნენ შემოდ-გომაზეც, მაგრამ გვიანი პერიოდის გამო არ დაწყეს კვერცხის დადება. გაზაფხულზე ისინი დაიწყებენ კვერ-ცხის დებას, მაგრამ თუ შემოდგომა-ზე ისინი არ შეწყვილებულან, მაშინ



დარჩებიან უნაყოფოდ, რამდენადაც
დედა ფუტკარი ჰყარგავს შეწყვილე-
ბის უნარს სადედე უჯრედიდან გა-
მოსვლიდან 20-30 დღეში.

104. რა რაოდებობის თაფლს ჭამებ
მამრი ფუტკრები თავისი სიცოცხლის
მანძილზე?

ითვლება, რომ 1 კგ მამრი ფუტკა-
რი თავისი სიცოცხლის მანძილზე (2-
3თვე) ჭამს 15-დან 20კგ-მდე თაფლს.
საკვების დიდი რაოდენობის დანა-
ხარჯი აიხსნება იმით, რომ ფრენი-
სას მამრი ფუტკრების კუნთები დიდ
ენერგიას მოიხმარს.

105. შეიძლება მამრი ფუტკრის
სპერმის შენახვა?

მამრი ფუტკრის სპერმა გამოიყენება დედა ფუტკრის განაყოფი-ერებისათვის. მას აქვს სუსტი მუა-ვას რეაქცია ($\text{pH} 6,0-6,8$). გამოხდილ წყალში სპერმატოზოდი სწრაფად იღუპება, მაგრამ 2%-იან გლუკოზას ხსნარში ისინი 3 საათზე მეტ ხანს ცოცხლობენ. სპერმის გაცივება 0°C -მდე არ კლავს სპერმატოზო-იდებს. ტემპერატურის $23-25^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდის შემდეგ ისინი კვლავ ანახ-ლებენ მოძრაობას. (ვ.ი. ლებედევი, ნ.გ. ბილაში: 1991).

အနေဖြင့် မြတ်ချောက်များ


ულტრაბეგანა ვებგრიდის სამსახურში

ამ უკანასკნელს კი წინ უძლოდა
შპიქის (ხერხემლის არეში დაგროვი-
ლი ცხიმის) სისქის განმსაზღვრავი
აპარატის შექმნა.

მეთოდმა პოპულარობა ჰპივა ვე-
ტერინარიასა და მეცხოველეობაში,
როგორც სადიაგნოსტიკო, ისე სამ-
კურნალო გამოყენების თვალსაზ-
რისით. დღეს ვეტერინარი სპეცია-
ლისტები წარმატებით ადგენენ მაკე
ცხოველებში ნაყოფის ხნოვანებას,
საჭიროების შემთხვევაში სასქესო
ორგანოების ხარისხობრივ შეფასე-
ბას, არასანაშენო ცხოველებში უნა-
ყოფიბის გამოწვევას და სხვა.


ფართო გამოყენება ჰქოვა ულტ-

ჩევნი გამოკვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ულტრაბგერის მეშვეობით წყალსატევების ბიოლოგიური მონიტორინგის შესაძლებლობათა შესწავლა, რომელიც ეკოლოგიური კვლევის შედეგებს ემყარება. მეოთხდის ძირითად არსს წარმოადგენს თევზის ერთორციტებისა და ლეიკოციტების მემბრანათა რეზის-



ტენტობის მაჩვენებელი. როგორც
ცნობილია, აღნიშნული პარამეტრების გადახრას ადგილი აქვთ წყლის, როგორც საარსებო არქს შეცვლისას, ტოქსიკური ნივთიერებების წყალში მოხვედრის შემთხვევაში.

ჩვენს მიერ შედგენილი მეთოდური



სურ. №1. სადიაგრამო ლენტზე სისხლის ფორმიანი ელემენტების დაშლის კინეტიკური გამოსახულება.

დიაგრამა, რომელიც ულტრაბგერის მიმართ თევზის სისხლის ფორმიანი ელემენტების მებრანათა მდგრადობის განსაზღვრით წყალსატევის ინდიკაციისათვის იქნა გამოყენებული, თევზის გულიდან ან კუდის ვენიდან აღებული სისხლის ჰემოლიზის პრინციპზე იქნა დაფუძნებული.

სადიაგრამსტიკოდ გამოვიყენეთ 0,88 მც სიხმირის ულტრაბგერა გასაშუალებული სივრცეში 0,2 ვტ/სმ² ინტენსივობით. ერითროციტების დაშლის კინეტიკის რეგისტრაციას ვაზდენდით ფოტოლექტროკოლორიმეტრის სინათლის წითელი და ლეიკოციტების – შესაბამისად საკვლევი სითხის პარალელურად ფოტოლექტროკოლორიმეტრი მოთავსებულ იყო საკონტროლო კიუვეტი შესაბამისი უჯრედების ჰემოლიზირებული სუსპენზით.

საკვლევი სითხის ზედაპირზე (თევზის ერითროციტებისა და შესაბამისად ლეიკოციტების სუსპენზია) დამასხი-

ვებლის ზემოქმედებით გამოწვეულ ჰემოლიზის მოსდევს კიუვეტში არსებული სუსპენზიის ოპტიკური სიმკვრივის შეცვლა და სითხეში სხივგამტარუნარიანობის გაზრდა. სადიაგრამო ლენტზე ფორმიანი ელემენტების დაშლის კინეტიკის ასახვა (სურ. №1) განსაზღვრავს საკვლევი ფორმიანი ელემენტების დაშლის სიჩქარესა და დროს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ჰემოლიზი.

კეთილსამიედო წყალსატევებში ბინადარი თევზის სისხლის ფორმიანი ელემენტების ულტრაბგერით ზემოქმედებისას მიღებული სადიაგრამო ლენტის მონაცემების შედარება მაღალი ტოქსიკური მაჩვენებლების მქონე წყალსატევებში დაჭრილი თევზის სისხლის ფორმიანი ელემენტების ულტრაბგერით ზემოქმედებისას მიღებული სადიაგრამო ლენტის მონაცემებთან იდლევა ინფორმაციას თევზის ორგანიზმის საერთო მდგომარეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიძლება დასკვნების გაკეთება ჰიდრობიონგრადული საარსებო არეს კეთილსამიედობაზე. ულტრაბგერის ზემოქმედებით უჯრედების დაშლის სიჩქარე ფორმიანი ელემენტების „მექანიკური“ რეზისტენტობის პროპორციულია, რომელიც გამოითვლება

$$\text{ფორმულით: } V = \frac{\Delta M}{\Delta t}$$

სადაც V – უჯრედების დაშლის სიჩქარე

DN – სხივის გამტარუნარიანობის შეცვლა უჯრედების დაშლისას

Dt – დროს მონაკვეთი

ფორმიანი ელემენტების (ერითროციტები ან ლეიკოციტები) დაშლა და ჰემოლიზის სიჩქარე გამოითვლება სადიაგრამო ლენტზე ასახული მრუდის კუთხის, ტანგესის ციფრობრივი მაჩვენებლით.

რაც უფრო მაღალია უჯრედების დაშლის სიჩქარე ულტრაბგერის მოქმედების არეში, მით უფრო დაბალია მათი ნინაალმდეგობა ულტრაბგერის ზემოქმედების მიმართ.

ჩვენი გამოკვლევების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით გაუწმენდავი, ჩამდინარე წყლებით დაბინძურებულ წყალსატევებში ბინადარი თევზის სისხლის ფორმიანი ელემენტების მებრანათა „მექანიკური“ რეზისტენტობა შედარებით საკონტროლო თევზის სისხლის ფორმიანი ელემენტების მებრანათა „მექანიკურ“ რეზისტენტობასთან აღმოჩნდა ულტრაბგერის ზემოქმედების მიმართ შედარებით დაბალი მედეგობის.

მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ: წინამდებარე მეთოდის გამოყენება მონიტორინგის სამსახურში სარგებლობის მომტანი იქნება ეკოლოგიური ფიზიოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებისთვის.

თავაზ გავაკეთო, კეტერინარიის დოქტორი;

დავთ ხლამია, ვეტერინარიის დოქტორი

ეს საინტერესოა

ეგზოტიკური ფრინველები

ეგზოტიკურ ფრინველებს გააჩნიათ არაგარული დეპორატიული და ესთომიტიკური მნიშვნელოვანი, არამაღ გათ აშენება სამარტინ-კომარციული მიზნითაც. ჩვენ ევითაც არასაბორგ მრავალი მრავალი მოსახლეობის მიზნით არა საკარგიდამო მაურნეობების აიროგებით აძლიერდება და ეგზოტიკური ფრინველების გავარავება.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს წინაპირობას დაინტერესებულ პირთათვის, რათა წარმატებით შეძლონ ქვემოთ მოყვანილი ფრინველების მომრავლება.

მტრები. შინაური მტრების უძველეს წინაპრად ითვლება გარეული შავ-მოისფერო მტრები. იგი მოიშინაურეს ჩვ. ნ. აღ.-მდე 3000-3500 წლის წინ ძველ ეგვიპტეში. უხსოვა-



გვირგვინოსანი მტრებები

რი დროიდან მტრედებს აშენებდნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებსა და აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხები. მათ ინახავდნენ გამომწვარი თისისაგან აშენებულ მრგვალი ფორმის სამტრედებებში. ასეთი ტიპის სამტრედებს დღესაც შეხვდებით ეგვიპტეში.

მას შემდეგ ადამიანმა საუკუნეების განმავლობაში მტრედის მრავალი ჯიში გამოიყარა. გადარჩევისა და შერჩევის საფუძველზე მიღებულია ისეთი ჯიშები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევიან არამარტო სხეულის ფორმითა და გარეგნული ნიშან-თვისებების მრავალფეროვნებით, არამედ დანიშნულებითაც. ამჟამად ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ მტრედის რამდენი ჯიშმა გავრცელებული მთელს მსოფლიოში, არ არსებობს, მაგრამ მიახლოებით ცნობილია მათი 800-ზე მეტი ჯიში, რომლებიც იყოფიან სამ ჯგუფად: საფოსტო, დეკორატიული და სახორცე მიმართულების მტრედები.

მტრედისებრთა რიგში გაერთიანებულია ცხრა გვარი. ესენია: 1. კბილისებურ ნისკარტიანი მტრედი; 2. აბისინიური მტრედი; 3. მტრედი ვიასირი; 4. ჩვეულებრივი ანუ მინდვრის მტრედი; 5. მოხეტიალე მტრედი; 6. ჩვეულებრივი გვრიტი; 7. ქოჩირიანი მტრედი; 8. გრიფისმაგვარი მტრედი და 9. გვირგვინოსანი მტრედი.

მტრედი ძირითადად გავრცელებულია კონტინენტურ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში. იგი საშუალო ზომის ფრინველია. ყველაზე დიდი ზომისაა გვირგვინოსანი მტრედი, რომლის სხეულის სიგრძე საშუალოდ 80 სმ-დეა. შეფერილობა მრავალფეროვანია. ამ სახეობის ფრინველის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვნობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ავსტრალია და მიმდებარე კუნძულები. ძირითადად გავრცელებული არიან ფოთლოვან ტყეებში, ლია ველებზე და კულტურულ ლანდშაფტებში. ბუდეს იკეთებენ ხეებზე, ბუჩქებში, კლდის ნაპრალებში, ადამიანის სიახლოეს შენობებში და იშვიათად მინაზე. მონოგამიური ფრინველია. კვერცხდება ახასიათებს წელიწადში 4-5-ჯერ. ერთ ჯერზე დებს 2, იშვიათად 1 კვერცხს. კრუხობის ხანგრძლივობა მტრედის სხვადასხვა სახეობისათვის განსხვავებულია – 14 დღიდან 30 დღემდე. ახალგამოჩეკილი მოზარდი ბუდეს ტოვებს 14-დან 25 დღეზე. მტრედები

ბინადრობენ გუნდებად. კვერცხზე მორიგეობით ზიან მდედრი და მამრი. პირველ დღეებში მშობლები თავიანთ მოზარდებს კვებავენ ე.წ. „ჩიტის რძით“, რომელსაც მტრედი გამოყოფს ჩიჩახვის სპეციალური ეპითელიებიდან. მტრედები ძირითადად იკვებებიან სხვადასხვა თესლებით და ნაყოფებით. ისინი იყენებენ ბევრ წყალს და სუფთა წყლის საძებნელად მას შეუძლია დაფაროს საკმაოდ დიდი მანძილი. მტრედის ხორცი გამოირჩევა კარგი საგემოვნო თვისებებით, მაგრამ სარენაო მნიშვნელობა არ გააჩნია.

საფოსტო მტრედი გამოყანილია მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, როდესაც გადარჩევა წარმოებდა ამ ფრინველის ორიენტაციის უნარის შესაძლებლობების მიხედვით. ამჟამად მტრედის ფოსტამ დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ იყო პერიოდები (უძველეს ხანაში, მეორე მსოფლიო ომის დროს), როდესაც მას უდიდესი ფუნქცია გააჩნდა. დღესდღეობით კი საფოსტო მტრედებს აშენებენ მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით. მათი ფრენის სიჩქარე აღემატება 60 კმ/სთ-ს. ფრენის სიშორე ცალმხრივად 100–150 კმ-ია. ყოფილა შემთხვევები, რომ დაუფარავთ 1000 კმ.

დეკორატიული მტრედები ფასობენ ორიგინალური გარეგნობით, ბუმბულის მრავალგვარი შეფერილობით (ბლენდიები, კაპუცინები, კოსმაჩები და სხვ.), ან თავისებური ფრენის მანერით (ტურმანები, თოლიები და სხვ.). ყველა ამ ჯიშმა გააჩნია სამოყვარულო დანიშნულება.

სახორცე ჯიშმა მტრედებს (კარნო, კინგი, რომაული და სხვ) აშენებენ ხორცის წარმოების მიზნით. ისინი საკმაოდ დიდი ზომისანი არიან (900 გ). გამოირჩევიან მაღალნაყოფიერებით და მაღმნიფადობით. ერთი წყვილი მეხორცული მიმართულების მტრედისაგან წლის განმავლობაში შეიძლება მივიღოთ 14 ფრთა მოზარდი. თითოეული მათგანი ერთი თვის ასაკში მიაღწევს 600–700 გ-ს. ახალმიღებულ სახორცე მოზარდს სუქებაზე აყენებენ 10–15 დღით. ყველაზე უფრო ხელსაყრელია სუქებაზე დაყენებული 25-დღიანი მოზარდის რეალიზაცია. ამ ასაკის მტრედის ხორცი არის ნაზი, თეთრი და გამოირჩევა კუნთოვანი ქსოვილის წვრილბოჭკვივანი სტრუქტურით. ხორცი შეიცავს 12,8% პროცენტს, 14,5% ცხიმს, ნაცარი 1,2%-ია და წყალი 62,5%. მათი დაკვლისა და

გაპუტვის ტაქნოლოგია იგივეა, როგორც ქათმის შემთხვევაში.

თუთიეული. თუთიეულისებრთა რიგში ერთიანდება ორი გვარი: 1. კაკადუსნაირები, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს 65 სახეობას და 2. ნამდვილი თუთიეულები ანუ გლუვენიანები, რომელშიც გაერთიანებულია 285 სახეობა. ამ ორ გვარში სულ გაერთიანებულია 350-მდე სახეობა. მათ შორის: 27 სახეობა და 14 ქვესახეობა შეტანილია მსოფლიო წითელ



ხეზუქა ანუ ტალღისებრი თუთიეულებები

ნიგნში. თუთიეულში გავრცელებულია მხოლოდ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში. სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნება აღრიცხულია ავსტრალიის ფაუნაში. გვხვდება, აგრეთვე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთში, დასავლეთ აფრიკაში, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე. ითვლება ხეზე მობინადრე ფრინველად. ცხოვრობენ ტყეებში, იშვიათად – გაშლილ ველებზე; რამდენიმე სახეობა გვხვდება მთებშიც; ბინადრობები გუნდებად; იკვებებიან მცენარეული საკვებით, იშვიათად – მწერებით; ხელს უწყობენ მცენარეთა დამტვერვისა და გამრავლების პროცესს. სშირ შემთხვევაში ანადგურებენ სასოფლო-სამეურნეო ნათესებსა და ბალებს.

თუთიეულის სხეულის სიგრძე მერყეობს 9,5 სმ-დან 1 მ-მდე, ცოცხალი მასა – 10 გ-დან 1 კგ-ზე ზევით. შეფერილობით არიან ძალზე მრავალფეროვნები და დამახასიათებელია მკვეთრი ფერები. ძირითადად ჭარბობს მომწვანო-მოყვითალო ფერები. გააჩნიათ მოკაუჭებული მასიური ფერები და მოღუნულბრჭყალებიანი ფერები. მათი დაკვლისა და

მოქნილია. ფრთხები გრძელი და წან-ვეტებულია. იგი მონოგამიური ფრინველია. ბუდეს იკეთებს ხის ფულურში, ქვებს შორის ნაპრალებში და სხვ. დედალი დებს 2-3, იშვიათად 5-8 კვერცხს. კრუხობს დედალი. ინკუბაციის ხანგრძლივობა გრძელდება 3 კვირამდე. ბარტყი იჩეკება შეუბუმბლავი და თვალაუხილავი.

თუთიყუშის თავის ქალა გამოირჩევა თავისი სიფართით. აქედან გამომდინარე, თავის ტვინიც მოცულობაში შედარებით დიდია. ქვედა ყბის ძვლები საკმაოდ გრძელია. დამახასიათებელია კარგი მეხსიერება და ხმების იმიტაცია (კარგად არის განვითარებული ხმის იოგები). ენა მოკლეა, მსხვილი და ხორციანი. ზოგიერთ სახეობაში აღჭურვილია წვრილი, მრავალრიცხოვანი ძაფისებრი დვრილებით.

თუთიყუშები სამყაროს ერთ-ერთი ულამაზესი წარმომადგენლებია და დაჯილდიებული არიან საუცხოო „ლაპარაკის“ უნარით. არიან ძალიან მოძრავები და ენერგიულები. სწორედ ამ თვისებების გამო ისინი ხშირად ჰყავთ გალებში, როგორც შინაური ფორმა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლიობს ტალღისებური ანუ ხუჭუჭა თუთიყუში, რომლის სამშობლოც ავსტრალიაა. სამხრეთ ამერიკის თუთიყუშები გამოირჩევიან განსაკუთრებული შეფერილობით. ეს კონტინენტი ითვლება გიგანტური თუთიყუშის „არას“ სამშობლოდ. აქაურები არიან „ამაზონებიც“. ისინი შედარებით მცირე ზომისანა არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა „არებზე“ უკეთესად „ლაპარაკობენ“. ე.ი. მათზე უკეთ შეუძლიათ ადამიანის ლაპარაკისა და სხვა ხმების იმიტაცია. მათ შორის საუკეთესოდ ითვლება ყვითელკისერა „ამაზონი“ და ლურჯშუბლიანები. ისინი „ლაპარაკით“ მხოლოდ „უაკოს“ ჩამოუვარდებიან. ავსტრალიისა და გარეშემო კუნძულების თუთიყუშები შედარებით ნაკლებინტენსიური შეფერილობით გამოირჩევიან. აქ გავრცელებულია „ხუჭუჭა თუთიყუშები“, „ნიმფები“ და დიდქორინანი „კაკადუ“.

ჩვენს ქვეყანაში გალიებში, სახლის პირობებში, ყველაზე მეტად გავრცელებულია ტალღისებური ანუ ხუჭუჭა თუთიყუშები.

იაღონი. იადონი მიეკუთვნება იადონისებრ მგალობელ ფრინველთა გვარს. მისი ლათინური სახელწოდება (მერინუს ცანარია) წარმოდგება კანარის კუნძულებიდან, ე.ი. იმ

ადგილებიდან, სადაც ესპანელმა და პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა ეს ფრინველი პირველად შენიშნეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათი გავრცელების არეალში შედის მადეირას, პორტო-სანტოსა და აზორის კუნძულები. ჯერ კიდევ XIV ს-ში ესპანელმა ზღვაოსნებმა იგი შემოიყანეს ესპანეთში. ცნობილია, რომ ერთ-ერთი პირველები, ვინც დაიწყეს ევროპაში მისი მოშენება, იყვნენ ესპანელი მღვდლები. XV-XVI საუკუნეებში ევ-



მგალობელი იადონები

როპაში ეს ფრინველი ჯერ კიდევ დიდი იშვიათობად ითვლებოდა და წარმოადგენდა ფუფუნების საგანს. მას შემდეგ, რაც ფართოდ დაიწყეს იადონის მოშენება, დაიწია ამ ფრინველის ფასმა და იგი ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოების ყველა ფერის წარმომადგენლისათვის. მოგვიანებით ცნობილი გახდა იადონის ერთ-ერთი საოცარი თვისება. კერძოდ, მაღალი მგრძნობელობა ჰაერში გაზის (მეთანის) შემცველობის მიმართ. გალობის საოცარი უნარისა და ლამაზი შეფერილობის გარდა იგი გადაიქცა ადამიანის მაშველ ფრინველადაც. მისი გამოყენება დაიწყეს დახურული ტიპის კარიერებისა და გვირაბების მშენებლობის დროს. როგორც კი იადონი გვირაბში „ცუდად“ იგრძნობდა თავს, მუშები მაშინვე ტოვებდნენ გვირაბს და ამით თავს იცავდნენ გაზით მონამეობისაგან, ან აფეთქებისაგან. XVI-XVII საუკუნეებში ევროპის მთელრიგ ქვეყნებში დაიწყეს სხვადასხვა შეფერილობის იადონების გამოყვანა და სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ფერად მეიადონების, როგორც ეგზოტიკური ფრინველების მოშენების ერთ-ერთ დარღს. დღესდღეობით ყველაზე მრავალგვარი შეფერილობა ფრინველებს შორის სწორედ იადონებისთვისაა დამახასიათებელი.

გამოყვანილია ისეთი ჯიშებიც, როგორებიცაა: ბიბილოიანი, ხეულბუმბულიანი და კუზიანი იადონებიც კი. სანაშენებ მუშაობა არ წყდება ამჟამადაც. ყოველწლიურად რეგისტრირდება იადონების ახალ-ახალი ჯიშები.

ბუნებრივია, სანაშენებ საქმის წარმოების დროს ადამიანმა თავდაპირველად ყურადღება იადონის არაჩვეულებრივ ხმასა და ულერადობაზე გამამახვილა. სწორედ სასიმღერო ნიშან-თვისებებით დაიწყო მან ამ ფრინველის შერჩევა და გადარჩევა. ამ მიმართულებით სამუშაოები პირველად დაიწყეს გარმანელმა მოყვარულებმა. ისინი აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ რა იადონის მრავალმოვანი ტონალობის ბგერების გამოცემის უნარს, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების დახმარებით შექმნეს ე. წ. კეთილშობილი მომღერალი იადონების ჯგუფი, რომლებსაც დღესდღეობითაც აღფრთვანებები მოჰყავთ მსმენელი. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სხვა გარეული მგალობელი ფრინველებისაგან განსხვავებით იადონი ადვილად ეგუება ტყვეობას და ძალიან ადვილად თვინიერდება.

ფარშავანგი. ფარშავანგი მონოტიპიურ სახეობად ითვლება ე. ი. არ იყოფა ქვესახეობებად, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ მთელი რიგი სხვადასხვა ფერის ეგზემპლარები და შეფერილობის მიხედვით სხვადასხვაგვარი ვარიაციები. იგი მოშინაურებულია ადამიანის მიერ. ძირითადად გავრცელებულია ინდოეთში, ინდონეზიის კუნძულებზე, მალაიზიაში, პაკისტანსა და შრი-ლანკაში, ვრცელდება ზღვის დონიდან 2000 მ-მდე. ბინადრობს ჯუნგლებში და ტყიან მასივებში; გვხვდება კულტურულ დანდძლაფტებში, სოფლებთან ახლოს; არ ერიდება ადამიანის სიახლეებს. უპირატესობას ანიჭებს ბუჩქნარიან ადგილებს, ტყის განაპირობაზე და წყალსატევის ნაპირებს.

უკვე 3000 წელზე მეტია, რაც ფარშავანგმა პირველარობა მოიპოვა სხვადასხვა ხალხების კულტურაში, ლეგენდებში, ლიტერატურასა და რელიგიაშიც კი. იგი პირველად ინდოეთში მოიშინაურეს დაბალობით 3000-ზე მეტი წლის წინა, ხოლო 1963 წლიდან გამოცხადებულია ინდოეთის ეროვნულ ფრინველად. ამ ქვეყანაში იგი აღიარებულია წმინდა ფრინველად.

მოშინაურებული ფარშავანგის შესახებ მასალები ნაპოვნია ეგვიპ-

ტის, ეთოპიის, არაბეთის, რომისა და საბერძნეთის ისტორიულ წყაროებში. მას ძირითადად აშენებდნენ სილამაზის მიზნით და ითვლებოდა სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლოდ. ევროპის კონტინენტზე ამ ფრინველის შემოყვანა ძირითადად ა. მაკედონელის პერიოდს უკავშირდება. ძველ რომსა და საბერძნეთში ფარშავანგის ხორცს გამოიყენებდნენ საკვებად. ჩინეთსა და იაპონიაში ეს ფრინველი გვხვდება XII ს-დან, საქართველოში კი ფარშავანგი შემოყვანილი იქნა ირანიდან XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში.

ფარშავანგის ბუმბული უძველესი დროიდან წარმოადგენდა ვაჭრობის საგანს. შუა საუკუნეების ევროპელი რაინდები მას იყენებდნენ ჩაჩქნის მორთულობაში, ხოლო ქალბატონები – ტანსაცმლის აქსესუარებში. ამ დროისათვის საკვებად გამოიყენებდნენ მის ხორცსაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ფარშავანგის ხორცი საკმაოდ დაბალი ხარისხისაა და გამოირჩევა არასასურველი საგემოვნო თვისებებითაც.

ფარშავანგი ტყვეობას ადვილად ეგუება, თუმცა, ავლენს შედარებით დაბალ ნაყოფიერებას; ცუდად იზრდება სხვა შინაურ ფრინველთა გარემოცვაში, სამაგიეროდ კარგად იტანს

მეაცრ კლიმატურ პირობებს და თოვლაც კი.

ფარშავანგი ითვლება პოლიგამიურ ფრინველად. მამლის სხეულის სიგრძე აღწევს 100-120 სმ-მდე, კუდის სიგრძე – 40-50 სმ-მდე. მისთვის დამახასიათებელია მკაფიო შეფერილობის კუდს დიდი მფარავი ბუმბულები, რომელთა სიგრძეც 120-დან 160 სმ-მდე აღწევს. მამალი იწონის 4-4,3 კგ-ს. თავი, კისერი და გულმკერდის ნაწილი დაფარული აქვს ლურჯი ფერის ბუმბულით, ზურგი მწვანე ფერისაა, სხეულის ქვედა ნაწილი და ფეხები კი შავი ფერისაა. მდედრი უფრო მცირე ზომისაა, არ ახასიათებს მკვეთრი შეფერილობა და მოკლებულია კუდის გრძელ მფარავ ბუმბულს.

ცხოვრობენ მცირე გუნდებად. ერთ ოჯახში არის ერთი მამალი და 3-5 დედალი. ცუდად დაფრინავს და როგორც წესი, მოკლე მანძილზე. ძირითადად იყვებება მცენარეული საკვებით, ნორჩი ყლორტებით, ბალახეულით და მცენარეთა თესლით. ჭამს მწერეს, მათ მატლებს და მცირე ზომის ხერხემლიანებსაც. ამტანია სხვადასხვა კლიმატური პირობებისადმი; სქესობრივ სიმნივეს აღწევს 2-3 წლის ასაკში; კვერცხდების სეზონი ახასიათებს აპრილიდან სექტემბრამდე. ბუდეს იკეთებს მიწაზე და ერთ



ჩვეულებრივი ფარშავანგი

ჯერზე დებს 4-10 კვერცხს. ტყვეობაში კვერცხდება ახასიათებს წელიწადში 2-3-ჯერ. ინკუბაციის პერიოდი 28 დღეა. სრული შებუმბვლა მამლებს უნიტარდებათ 3 წლის ასაკისათვის. ცოცხლობს 20 წლამდე.

ფერმერულ მეურნეობებში მოშენების შემთხვევაში ფარშავანგის მოვლა-შენახვა და კვება ანალოგიურია ხოხბის მოშენების პირობებისა.

მუხა ნაცვალაში,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, სოფლის მეურნეობის
სამუცნიერო-კვლევითი ცენტრი

ს.ს. გავრცელები

საზოგადო მავნებლები ღია გრუნტი

საქართველო, აგრეთვე სხვა ქვეყნებში ღია საზოგადო მავნებლების დამახასიათებლი განვითარება აღიარებულია სათბურის ურთათათრა (TRIALEURODES VAPORARIORUM) და არმოლა სამხრეთა მავნებლების განვითარებით (Tuta absoluta), ამ მცენარეს შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიმდევარ დაზურულ მრულები სავარაუდო სამსახურში სამსახურში მოვალეობის მინაზე.

ზოგჯერ მათ მიერ მიყენებული ზიანი 50 და 70%-საც შეიძლება აღმატებოდეს, თუ დროულად არ იქნა მიღებული სათანადო ზომები. ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ზემოთხსენებული მავნე მწერები ღია გრუნტის პირობებშიც საშიშ მავნებელების მნიშვნელობად იქცნენ. როგორც აღმოსავლეთ, აგრეთვე დასავლეთ საქართველოში იკვეთება მცირე ფართობებზე მათი მავნებლობის გამოვლენა.

2015 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცირე ფართობზე დაფიქსირდა პომიდვრის სამ-

ხეთამერიკული მენაღმე ჩრჩილის გავრცელება, რომელმაც პომიდვრის კულტურის მცენარის ფოთლები და ნაყოფი ნანილობრივ დააზიანა. 2016 წელს იგივე ტერიტორიაზე გაიზარდა მავნებლის გავრცელების ფართობი და მათ მიერ მიყენებული ზარალის მოცულობა. ივლისის თვითდან გაძლიერდა სამხრეთა მერიკული მენაღმე ჩრჩილის მატლის მიერ მცენარის ფოთლების დაზიანება, აგვისტოს თვის ბოლოს კი როგორც პომიდვრის ვეგეტატიური ორგანოები, აგრეთვე მწიფე ნაყოფები მასიურად დააზიანა. ამავე წელს პომიდვრის



სამხრეთა მერიკული მენაღმე ჩრჩილის პარალელურად ფრთათეთრამ სერიოზულად დააზიანა მცირე ფართობზე, ღია გრუნტში როგორც პომიდვრის, აგრეთვე კიტრის კულტურა. 2017 წლისთვის იგივე ტერიტორიაზე მავნე მწერის, ფრთათეთრას გავრცელებამ რეგრესი განიცადა,



შემცირდა აგრეთვე პომიდვრის სამხრეთა მერიკული მენაღმე ჩრჩილის მავნებლობის ეკონომიკური ზღვარი. 2017 წლისათვის ღია გრუნტში ამ მავნებლების წინააღმდეგ გამოვიყენეთ მცენარეთა დაცვის ბიოტექნოლოგიური და ქიმიური საშუალებები, რომლებმაც დადებითი შედეგები მოგვცეს მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. პრატიკა გვიჩვენებს, რომ პომიდვრის სამხრეთა მერიკული მენაღმე ჩრჩილის და სათბურის ფრთათეთრას გავრცელების სელშემწყობი ფაქტორები ღია გრუნტში შეიძლება იყოს: სათბურების სიახლოვე და მათ მიერ

სანიტარული ნორმების დარღვევა, მცენარეული ნარჩენები, მავნებლებით დასახლებული ტარის, მასალების და სხვადასხვა საშუალებების გადაადგილება-ტრანსპორტირება, ხელშემწყობი კლიმატური პირობები მავნებლების გასავრცელებლად, ბიოდივრისა და სხვა. პომიდვრის სამხრეთა მერიკული მენაღმე ჩრჩილის და ფრთათეთრას წინააღმდეგ აუცილებელია კომპლექსური ლონისძიებების გატარება: სამეურნეო, ორგანიზაციული, აგროტექნიკური, ქიმიური, ბიოტექნიკური. აუცილებელია მცენარეული ნარჩენებისაგან ტერიტორიის გასუფთავება, აგროტექნოლოგიური პროცესების დროული ჩატარება, მნერების სქესმჭერი ფერომინების გამოყენება, ყვითელი ფერის ნებო-ქალალდების მიმაგრება მცენარეებთან ახლოს, ელექტრო მაგნიტური მწერების დამჭერი ლამაზების ჩართვა ღამის საათებში. ქიმიური საშუალებებიდან კარგ შედეგებს იძლევა პესტიციდები: აქტარა, აქტელიკი, კონფიდორი, პროკლემი, პასკალი, ბელტი, არმორი და სხვა მათი ანალოგები.

ფერმერები და რეგიონებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყურადღებით უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ამ მავნე მწერების გამოჩენისთანავე შეატყობინონ შესაბამის სამსახურებს. ესენია: მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ადგილობრივი და რეგიონული სამსახურები, გარემოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უფრობლობის სამსახური და მასთან არსებული ცხელი ხაზი.

აუცილებელია სპეციალისტების დახმარებით დროულად ჩატარდეს ყველა კომპლექსური ღონისძიება, რათა თავიდან ავიცილოთ ერთნოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისა დარგში მოსალოდნელი ზარალი.

ზრდობის სანაბიძე,
გარემოსა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს სხის სოფლის
მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის ბოსტნეული და ბალჩეული
კულტურების კვლევის სამსახურის
უფროსი სპეციალისტი

ზერთი განვითაროთ მასში მოვალეობა

რუპრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

კოგადან დანახული სვანეთის სოფლის მეურნეობის პერსპექტივა

ახალგაზრდა ეპლატონი სვანეთიდან გვთხოს, რომ ფერმერი სახლის, როდესაც გაღიანებით რეგიონის მომავლის განვითარება. რატომ იჩინება ახალგაზრდა რუპრიკას კვიპიდან ფერმერულ გზას, რა უგიპებას, მაგალითად, რომ არ გახდეს ადგომიათი, მოცემავავი, ეპორომისტი, სხვა უფრო პოპულარული პროფესიის ნაცვლად ფერმერის როული გზა აიღიოს, ამას თავად გვიაბრობს.

- რას საქმიანობ სვანეთში რუსკა?

- რამდენიმე წლის წინ მე და მამა-ჩემთა გადავწყვიტეთ სვანეთში, სოფელ ბერიში ჩამოგვეყალიბებინა კო-ოპერატორი, რომელსაც ჩვენი სოფლის სახელი - „ბერი“ დავარქვით. თავიდან დავიწყეთ ლობიოს, კარტოფილის, ხილ-კენკროვნის წარმოება, რაც ძალიან დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ წარმოების პროცესში ორგანიზმისთვის არასასურველ კონ-

სერვანტებს, პესტიციდებს და სხვა ქიმიურ დანამატებს არ ვიყენებთ. სწორედ ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჩვენი პროდუქტი სრულიად ჯანსაღია.

რა თქმა უნდა, დასაწყისში გამირთულდა ამხელა საქმესთან გამკლავება, რადგან, ფაქტობრივად, ყველა-ფერი თავიდან დავიწყე, მაგრამ დღეს უკვე უფიქრობ ჩვენი მეურნეობის გაფართოებაზე და პირველი ნაბიჯებიც გადავდგი.

რამდენიმე თვის წინ „პრო მესტია საქართველოს“ დახმარებით ავამენეთ სათბური, რომლის ფართობიც 180 კვ მეტრია. მარტიდან დავიწყებთ ყველანაირი ბოსტნეულის მოყვანას, რომელიც ჩვენს შესაძლებლობებში ჩაჯდება. ასევე გვყავს 50 ოჯახი ფუტკარი. „კომპერატივების განვითარების სააგენტოს“ თანადაფინანსებით დამატებით შევიძინეთ 50 სკა, მომავალი წლიდან კი შევუდგებით სვანური თაფლის რეალიზაციას როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე მის გარეთაც. ჩემი დიდი სურვილია და გეგმაშიც მაქვს უკვე სვანური მარილისა და აჯიკის წარმოება, რომელიც კომპერატივ „ბერის“ დასახელებით გამოვა ბაზარზე.

ის პროდუქტი, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს, საკმაოდ მოთხოვნადია

ადგილობრივ ბაზარზე და ჩვენმა მომხმარებელმა იცის, რომ ის, რასაც ვაწარმოებთ, ნატურალური, სუფთა და გემრიელია. სწორედ ეს არის ჩემთვის ბედნიერება და სიამაყე.

— რატომ გადაწყვიტე სწორედ ამ საქმის კეთება და არა სხვა პროფესიის არჩევა?

— თავიდან ყველაფერი ჩემი სოფლის სიყვარულით დაიწყო. ყოველთვის მინდოდა დაგვარუნებულიყვავი იქ, სადაც დავიბადე, ჩემი მოტივაცია კი მამაჩემი გახდა, რომელიც ბავშვობიდან მინერგავდა სვანეთისა და ჩემი სახლის სიყვარულს. რომ არა ის, დღეს აქამდე მოსვლას ვერ შევძლებდი. მახსოვს, ბავშვობაში მეუბნებოდა, სვანეთზე კარგი ადგილი არ არსებობს და რომ გაიზრდები, შენით მიხვდებით. ასეც მოხდა. 18 წლიდან დავიწყე აქტიურად ჩართვა სოფლის მეურნეობაში და დღეს, 21 წლის ასაკში, საკმაოდ ნარმატებულად ვუძღვები ჩვენს საქმეს.

ამასთან ერთად, 2014 წელს ჩავაბარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, ვარ მეოთხე კურსის სტუდენტი და ფერმერობასთან ერთად ვახერხებ ვიყო ნარმატებული სწავლაშიც. ასევე ვარ “საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში” ფერმერთა სათათბიროს წევრი, სადაც მესტიის მუნიციპალიტეტის ნარმოვადგენ. ეს ჩემთვის კიდევ ერთი, ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავსადო ყველას, ვინც არჩევანი ჩემზე შეაჩერა. სწორედ ამის დახმარებით შევძლებ ჩემი ცოდნის თეორიულ გაღრმავებასა და რეგიონული პრობლემების ნარმოწენას იქ, სადაც ამის გადაჭრის ყველაზე რეალური შანსებია.

ვფიქრობ, ორი საქმე ერთმანეთს ვერ შეუძლის ხელს, მთავარია მონდომება და სიყვარული იმის, რასაც აკეთებ. სწორედ ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ნარმატებულ ფერმერობასთან ერთად ვიქნები ნარმატებული ფსიქოლოგი.

— ახალგაზრდა ფერმერისთვის ინფორმაციის წყარო, ასე ვთქვათ, მანათობელი შუქურა, პაპა — ბების გამოცდილებასთან ერთად რა არის?

— ჩვენი წინაპრებისგან მიღებული ცოდნით ვამუშავებთ მინას და მოგვყავს პროდუქტი, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ 21-ე საუკუნეში ტენდენცი-

ები იცვლება და ვითარდება. შესაბამისად, საჭიროა ახლებური მიღვომების გადმოღება ამ მხრივ განვითარებული ქვეყნებისგან. სწორედ ამიტომ მოსახერხებელია ინტერნეტი და ინტერნეტ-ტელევიზია, სადაც სხვადასხვა გადაცემებითა და სტატიებით შესაძლებლობა გვეძლევა გავიღრმაოთ უკვე არსებული ცოდნა, ეს კი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ უფრო მეტად განვითაროთ ცოდნა და დავუტოვოთ ის მომავალ თაობას.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვა სახის საინფორმაციო საშუალებები

— ვფიქრობ, ინფორმაციის გაცემა მის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. რასაც ფერმერები ვითხოვთ, ვიღებთ ინტერნეტ-სივრცის საშუალებით. შესაბამისად, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ძალიან გაიზარდა ინფორმაციაზე მოთხოვნა, ამიტომ მთავარია იყოს სურვილი და ინფორმაციის მიწოდებაც გაიზრდება.

— შენი აზრით, რა გჭირდება სახელმწიფო და კერძო სექტორისგან, რათა შენი მეურნეობა უფრო ნარმატებული გახდომა?



თითქმის არ არსებობს, ინტერნეტ-სივრცე დღეს ყველაზე პოპულარულია ახალგაზრდებში. კარგი იქნებოდა ტარდებოდეს საინფორმაციო შეხვედრები სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის და მხოლოდ ინტერნეტ-საშუალებებზე არ ვიყოთ დამოკიდებული. ჩემს შემთხვევაშიც ასეა, ვინაიდან საჭირო ინფორმაცია, მაგალითად სათბურებზე, მათ მოვლასა და აშენებაზე – ლიტერატურა ქართულ ენაზე თითქმის არც არსებობს. სწორედ ამიტომ ვსარგებლობ ინტერნეტით და მინდა ყურადღება გავამახვილო, რომ „მომავლის ფერმერის“ ცხელი ხაზის დახმარებით საკმაოდ ვრცელი და ზუსტი ინფორმაცია მიმიღია, რის გამოც დიდი მაღლობა მინდა გადაგიხადოთ.

— ქართული ინტერნეტ-სივრცე კარგად ემსახურება ფერმერს, რათა დროულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია?

— ძლიერი სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა როგორც თეორიული, ასევე ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოსგან. სწორედ ამიტომ უნდა გაიცეს ფერმერებზე დაბალ-პროცენტიანი აგროსესხები, ასევე მოხდეს მასტერკლასებისა და ტრენინგების ჩატარება ფერმერთათვის, რომ გაიზარდოს ჩვენი შრომისუნარიანობა და პროდუქტიულობა.

ეს იქნება როგორც ჩემთვის, ასევე ყველა დამწყები ფერმერისათვის წინგადადგმული ნაბიჯი. რაც შეეხება კერძო სექტორის როლს ფერმერთა ცხოვრებაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კერძო სექტორმა აუცილებელია უზრუნველყოს ფერმერთა დახმარება პროდუქციის რეალიზებაში, ეს კი გულისხმობს იმას, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ბიოლოგიურად სუფთა ქართულ პროდუქტს.

— ახალი თვალი ყოველთვის განხვავებულად აღიქვამს გარემოს. რა

დადგებითი და უარყოფითი ფაქტორები შევიძლია გამოყო სოფლის მეურნეობაში და როგორ ხედავ ხარვეზების გამოსწორების გზას?

— დამეთანხმებით, რომ საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამ დარღმი დასაქმება მძიმე გარემობების შედეგია და არა ნებაყოფლობითი. ვფიქრობ, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლება ახალ თაობაში და არსებულის დატრენინგება, რათა ფერმერი არ ხედავდეს იძულებას საქმიანობაში. ის უნდა იყოს მოტივირებული და ორიენტირებული

განვითარებაზე. სწორედ აქ ჩნდება სახელმწიფოს როლი.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არსებულ პროექტებთან ერთად ახალი, ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ინტერესის გაზრდას ახალგაზრდებში და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

— აპირებთ რომელიმე *Start Up კამპანიაში ჩართვას, მეურნეობის გაფართოებას?*

— მოგეხენებათ, რომ სვანეთი ტურისტული ზონაა და სოფლის მეურნეობასთან ერთად მსურს განვაგითარო სხვა, ამჯერად ტურისტული ბიზნესიც. სწორედ ამიტომ გაზაფხულზე

მინდა დავიწყო კოტეჯების მშენებლობა – მოვაწყო ახალგაზრდული სივრცე, სადაც ქართველი თუ უცხოელი ტურისტები შეძლებენ განტვირთვასა და დასვენებას, ყველაზე მთავარი კი ის იქნება, რომ დამსვენებლებს გავუმასპინძლდებით ნატურალური, სვანური პროდუქტით, რომელსაც ჩვენი კომერციული აწარმოებს. ეს, თავის მხრივ, გაზრდის როგორც წარმოებას, ასევე ცნობადობას. ამ იდეის განსახორციელებლად მჭირდება ფინანსები, რომელსაც, იმედი მაქვს, მივიღებ კერძო ან საჯარო სექტორისგან.

**ინტერვიუ მოამზადა
მარიამ ტბაძეშვილის**

ვათერინარი

რუპრიკას უძღვება „ომავლის ზერმარი“



„კარგია და გიხარია, როცა შენი ზრუნვის შედეგს ხედავ, შემდეგ ცდილობ უფრო და უფრო მეტი გააკეთო, ცდილობ მეტი ისწავლო“ – ლელა გვიმხელს, რომ მისი მოტივაციისა და წარმატების მიზეზი სწორედ ეს არის.

დარგის განვითარების და მიმდინარე ცვლილებების ლელასეულ ხედვას რაც შეეხება, მიაჩნია, რომ ბოლო რამდენიმე წელია დადებით ცვლილებებს ხედავს, თუმცა, ვეტერინარია და, ზოგადად, სოფლის მეურნეობა, კიდევ ბევრ სიახლეს მოითხოვს.

პირველ რიგში, მნიშვნელობას დარგის პოპულარიზაციას ანიჭებს და სახელმწიფოს ჩართულობას კერძო სექტორის დახმარებით ხედავს: „სახელმწიფომ კერძო სექტორი უნდა წაახალისოს, რათა სოფლის მეურნეობის განვითარება თითოეულ მოსახლემდე მივი-

დეს. განათლება – ეს არის ყველაფრის სათავე, ამიტომ ჩვენ, საზოგადოებამ, ერთმანეთს ხელი უნდა შევუწყოთ.“ – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ლელას ყოველდღიურად უამრავ ფერმერთან უწევს შევედრა, მათი პრობლემების მოსმენა, კონსულტაციის განევა. მეცხოველე ფერმერებს იგი დადებითად აფასებს და ფიქრობს, რომ ფერმერთა ცოდნა და მსოფლმხედველობა წელ – წელა წინ მიდის – ცდილობენ თანამედროვე ტექნოლოგიების თავიანთ მეურნეობაში დანერგვას, რომლებსაც ადრე ასე უფრთხოდნენ და ახლა ეჩვევიან, ეს კი უფრო მეტად განგვავითარებს.

სპეციალისტი ვეტერინარიაში და, ზოგადად, სოფლის მეურნეობაში ქალების წვლილს შეეხო და ხაზი გა-

ლელა კიციურაშვილი - „როსტერის“ წარმატებული ვეტერინარი

ლელა კიციურაშვილი იმ ძალთა რიცხვს მიეცათვნება, რომელიც გარემონტირების მიუხედავად, პარივრა სოფლის გაურცხობას დაუკავშირებს და საეცილიზებული ვეტერინარი გახდება. უკვე 4 წელია, რაც ვეტერინარი დარღმის დანერგვის მსურს განვაგითარო სხვა, ამჯერად ტურისტული ბიზნესიც. სწორედ ამიტომ გაზაფხულზე

უსვა მათი აქტიურობის და ჩართულობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას: „პირველ რიგში, მივესალმები იმ ფაქტს, რომ ქალები უფრო მეტად ერთვებიან ვეტერინარიაში. ისინი არა მხოლოდ ვეტერინარიაში, არამედ სოფლის მეურნეობაში და ნებისმიერ სხვა სფეროში მნიშვნელოვანი რგოლები არიან, რომლებიც დიდ ცვლილებებს განახორციელებენ“ – აღნიშნავს ის.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ლელა ერთი, მაგრამ მრავლისმომცველი და მნიშვნელოვანი წინადადებით შემოიფარგლა: „ჩემი მიზანია ვეტერინარიის განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანო, მეტი ცოდნა მივიღო და კარგ სპეციალისტად ჩამოვყალიბდე“.

მარიამ ტბაძეშვილი

რუპრიპას უძლებელი „მომავლის ფირმარი“

ჩატვით კითხვა ვეტერინართან?

მოგვთხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge
ასუსტ მიღებით შურალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. მყავს დედა ღორი, რომელიც 2 თვის წინ დაბარა გოგოზი. ცოტა წესი ნიც გოგოზი დედას ავასლით და გადავიზვანით სხვა საკვებზე (ვაკლევით გარცვა-ლიულის ნაცვავს ფაზის სახით). გოგოზი პარგი მა-და ბაზო, მაგრამ მონაში სათანადოდ არ იგავით. არ დაგოგიავით? რას მიზრავთ? მათი ცოცხალი ცოცხა დაბალობით 15 კილოგრამია.

სასურველია, პირველ ეტაპზე გოჭები დაამუშაოთ ტაბ-ლეტით. გირჩევთ მისცეთ ფენბექსი 250 და გაიმეოროთ არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

2. ჩემს ძროხას ყოველი მოგების შემდეგ ემართება პარეზი. როგორ ხდება მოგების შემდგომი პარეზისა-გან დაცვა?

გამოიყენეთ პრეპარატი Calcium Plus, რომელიც ცხო-ველის ორგანიზმში ლაქტაციის დაწყებით გამოწვეულ კალციუმის დეფიციტს ავსებს. საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან კალციუმის მაღალი შენოვა განპირობებულია ვიტამინი D3-ის არსებობით. პრეპარატი ასევე უზ-რუნველყოფს ცხოველის ორგანიზმს მაგნიუმით, რომ-ლის დაბალი დონე სისხლში ჰიპოკალცემიის ერთ-ერთი გამოწვევი მიზეზია.

Calcium Plus ხელს უშლის მშობიარობის შემდგომი პა-რეზის ნარმოქმნასა და მშობიარობის შემდგომ მომყოლის დაბადების შეჩერებას, განსაკუთრებით მაღალპროდუქ-ტორულ ძროხებში. ამავე დროს, პრეპარატი ეფექტურია კე-ტოზის პრევენციისათვის, რამდენადაც ის შეიცავს გლიცე-რინს-გლუკოზის წინამორცებდს და B ჯგუფის ვიტამინებს, რაც ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას. შეძენა შესაძლე-ბელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილისი, ქვევანი ნამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

3. ჩემს საქონელს აქვს სოკოვანი დაბადება. გამოვი-ზეო პავრი საშუალება, მაგრამ საბოლოო გაცურნე-ბას ვერ მივალით. როგორ გამოვავამორთოვო?

სოკონანი დაავადებების სამკურნალო პრეპარატი „მი-კოსტიკი“ ნარმონადებების ინოვაციურ პრეპარატს ფუნგი-ციდური მოქმედებით. ძლიერი სოკოს სანინააღმდეგო მოქმედების პროდუქტი შეიცავს უზეულოდ ეფექტურ, დაპატრინტებულ, სპილენძის ნანომოლეკულურ კოლოიდს. ააქტიურებს კანის რეგენერაციას და ხელს უნიკობს ბენვის ზრდას. „მიკოსტიკი“ ასევე შეიცავს ანტისეპტიკურ საშუა-ლებას – ჩაის ხის ნატურალურ ზეთსა და დინდგელის ექსტ-რაქტს, რომელიც აჩქარებს შეხეორცების პროცესს. „მიკოს-ტიკი“ არ აღიზიარებს კანს, მოქმედებს როგორც ბუნებრივი ანტიბიოტიკი და აძლიერებს იმუნურ სისტემას. შეძენა შე-საძლებელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილისი, ქვევანი ნა-მებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

4. მაგვს აატარა ფირმა, სადაც მყავს ხდოვი და გოგო-ში. როცა ცხოველები ავადყოფობები, განსაკუთრებით ფალარათის ძროს, სუსტიდებიან, კარგავინ ხალის, მა-და. ზოგჯერ თითოების განცურნებული ცხოველი იღუ-პება ასათი სისუსტით; როგორ გადავარა ეს აროგლება?

პრობლემის გადასაჭრელად გთავაზობთ ელექტროლი-ტურ პრეპარატ ELEKTRO fit-ს. ის აჩქარებს ცხოველების (ხძო, გოჭი, ბატყანი) გაუზიარებას, გამოწვეულს დი-არეით ან თერმული სტრესით. მისი გამოყენება უზრუნ-ველყოფს გამოფიტული ორგანიზმის შევსებას ადვილად ათვისებადი ენერგიით. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი კარგად შერჩეული კომპონენტები ხელს უწყო-ბენ სწრაფ და ადვილად გამოჯანმრთელებას. ELEKTRO fit ნონასწორობას უბრუნებს ორგანიზმს. პრეპარატის ხა-ლისით იღებენ ის ცხოველები, რომელთაც არ სურთ რძის დალევა დაავადების გამო.

აგროცომის გვარდი

რუპრიპას უძლებელი „მომავლის ფირმარი“

ჩატვით კითხვა აგროცომითან?

მოგვთხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge
ასუსტ მიღებით შურალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. როგორი ტიპის ნიადაგებია გავრცელებული სა-ქართველოს რეგიონებში?

– შიდა ქართლში – გავრცელებულია ყავისფერი, რუ-ლოს ყავისფერი, შავი, ყომრალი და კორდიან-კარბონა-ტული ნიადაგები.

– ქვემო ქართლში – გავრცელებულია ყავისფერი, რუ-ლოს ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, მდელოს რუსი ყავის-ფერი, შავი, ყომრალი, კორდიან-კარბონატული და სხვა ტიპის ნიადაგები.

- კახეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, შავი და დამლაშებული ნიადაგები.

- იმერეთში – გავრცელებულია ყვითელმიწა, ყვითელმიწა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმიწა, კორდიან-კარბონატული, ალპური და მთა-მდელოს ნიადაგები.

- გურიაში – აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ყვითელმიწა, ყვითელმიწა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმიწა, მთა-მდელოს, ალვპრი და ჭაობიანი ნიადაგები.

- სამეგრელო-ზემო სვანეთში – გავრცელებულია ყვითელმიწა, ყვითელმიწა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმიწა, კორდიან-კარბონატული, ალპური, მთა-მდელოს და ჭაობიანი ნიადაგები.

- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში – აღნიშნულ რეგიონში გეხვდება კორდიან-კარბონატული, ყომრალი, ალპური, მთა-მდელოს, ენერი, ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები.

- სამცხე-ჯავახეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, ყომრალი, შავმიწა, მთა-მდელოს და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები.

- მცხეთა-მთიანეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, ყომრალი, ალპური, მთა-მდელოს და კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

- აჭარაში – გავრცელებულია წითელმიწა, ალპური, ყომრალი და მთა-მდელოს ნიადაგები.

- აფხაზეთში – გავრცელებულია წითელმიწა, ყვითელმიწა, ყვითელმიწა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ალპური, კორდიან-კარბონატული და ჭაობიანი ნიადაგები.

2. როგორ მრავლდება პეპანი?

პეპანი მრავლდება როგორც თესლით, ასევე – ვეგეტატიურად. გამრავლებისთვის თესლი უნდა ავილოთ საუკეთესო ჯიშის სადედე მცენარეებიდან.

პეპანის გაშენება შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ისე – ადრე გაზაფხულზე 18X18 ან 15X15, ხოლო შედარებით სუსტად განვითარებული 10X10 კვების არით.

3. პეპის შერჩევისას რას უნდა მივამოოთ ზურდება?

ჯიშის შერჩევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, ჯიშის მოსავლიანობაზე, მოსავლიანობის შესვლის ასაკზე, ჯიშის და დამატევერიანებლის ყვავლობის თანხვედრაზე, ნაყოფის სიმსხოზე, ხარისხზე, მის გამოსავლიანობასა და მავნე ორგანიზმების რეზისტენტულობაზე.

სამაგალითო ვეტერინარი



ზუგდიდის რაიონის სოფელ იგარის ვეტაცითიაქთან კლინიკაც მოქმედებს. იგი 2012 წლის დაფუძნდა და დღემდე აროვანის სიმსხოზე, ხარისხზე, მის გამოსავლიანობასა და მავნე ორგანიზმების რეზისტენტულობაზე.

თუ ადგილზე გამოძახებებს თავად პასუხობს.

დავითი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აქცენტს კლინიკაზე და მომხმარებელთა კონსულტაციაზე აკეთებს, ვეტაფთიაქი კი ის ინსტრუმენტია, რომელიც სასურველი მიზნის მიღწევისთვის სჭირდება.

რაც შეეხება სანდოობას და იმას, თუ რამდენად პასუხობს კლინიკა და ვეტაფთიაქი როგორც სახელმწიფო რეგულაციებსა და მოთხოვნებს, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, დავითმა კლინიკისთვის საჭირო დაფინანსება ჰქონის მიზნით „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ მიიღო. სწორედ მათი დახმარებით ააშენა, კეთილმოანყო

და ალპურგა კლინიკა და ვეტაფთიაქი, რაც პირდაპირ გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და შესაბამისად ფუნქციონირებას.

კონკურენტულ გარემოს თუ მიმოვიხილავთ, დავითი რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე საუბრობს, რომელიც მის ვეტაფთიაქს უპირატესობას ანიჭებს. პირველ რიგში, ეს გახლავთ გამოცდილება და სტაბილური, კმაყოფილი მომხმარებელი. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული კადრის საკითხი ზუგდიდსა და მის შემოგარენ სოფლებში – დავითის თქმით, მხოლოდ ორი ვეტენტიმია, ერთ-ერთი მათგანი კი თავად

არის. და ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორად შერჩეული ადგილმდებარება – აფთიაქი ქალაქისგან მოშორებით – ანაკლიისკენ მიმავალი გზის-პირას მდებარეობს და შედარებით ადვილად მისასვლელია. ძირითადი მომხმარებელი სწორედ ინგირიდან – ზუგდიდიდან პირველი სოფლიდან და ანაკლიის მიმდებარე 5-6 სოფლიდან ჰყავს.

დავით ჭეშიას თქმით, ამ წლების განმავლობაში ფერმერთა ცნობიერება გაიზარდა. თავიდან ბევრი პრობლემა არაინფორმირებულობის გამო ექმნებოდათ – დროულად არ ატარებდნენ პრევენციულ ღონისძიებებს, არ იყენებდნენ ვაქცინებს და სხვა, დღეს შედარებით უკეთესი სურათია: „2012 წელს „მომავლის ფერმერთან“ ერთად შევიმუშავეთ სქემა, წლის განმავლობაში, თვეების მიხედვით, რომელი ვეტერინარული ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო და გავატარეთ შესაბამისი კამპანია – ვატარებდით ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და სხვა. ამ საკითხების პოპულარიზაციის შემდეგ ფერმერები, შემიძლია ვთქვა, ატარებენ პრევენციულ ღონისძიებებს და პრობლემებმაც საგრძნობლად იყლო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ზარალი მერძეული მიმართულებით 20%-ით, მეხორცული მიმართულებით კი 20-30%-ით არის შემცირებული,“ – ამბობს დავითი.



სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, დავითი აპირებს გაფართოებას და უფრო მეტ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობას, ამისთვის კი შესაფერის კადრს ეძებს. დღეს მასთან დასაქმებული ახალგაზრდა ვეტერინარი ხობში ცხოვრობს, მხოლოდ სატელეფონო კონსულტაციის გაცემას ახერხებს, ამიტომ დამატებითი კადრი სჭირდება, რომელიც საველე გასვლებზე და გამოძახებზე იმუშავებს, თუმცა, აქ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემას წააწყდა და პრაქტიკონი ვეტერინარი ექიმის პოვნა უჭირს.

აღსანიშნავია, რომ დავით ჭეშია სამეცნიელოს რეგიონში ერთ-ერთ კომპეტენტურ და სანდო ვეტერინარ ექიმად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ის ზუგდიდის მუნიციპალიტეტშია ლოკალიზებული, მასთან სატელეფონო კონსულტაციით სარგებლობენ სხვა მუნიციპალიტეტების ფერმერებიც. მან პირველმა შეიტანა რეგიონში თანამედროვე ინვენტარი, ტექნოლოგიები და ვეტერინართა ახალ თაობას სიახლეებისკენ სწრაფვის საუკეთესო მაგალითი მისცა.

მარიამ ტაქაშვილი

ინოვაციური აგროტექნიკა

კომიდვრის მოწვანი სარცხავი ცელის ნორმის განხევრების მათოლით



ცეორი დოზირების შემთხვევაში ჩვეულებრივი სარცხავი ცელის ნორმის ნახევრარი საკმარისია უზრუნველვყოთ ჯანსაღი კომიდვრის მოწვანა და იგი უფრო გავამდიდროთ მინიჭებული თუ საკვები ნივთიერებებით.

სევილიის უნივერსიტეტის მეცნევარები სამი წლის განმავლობაში აკვიდიდებოდნენ და სწავლობდნენ პო-

მიდვრის მორწყევის სხვადასხვა მეთოდებს. ისინი პომიდორი ჩერის ორი ჰიბრიდის მოსარწყავად წყლის ტრა-

დიციული ნორმის ნახევარზე ნაკლებს იყენებდნენ. ამ დროს ნაყოფი მარტო ხარისხს კი არ ინარჩუნებდა, არამედ

မასში იზრდებოდა კაროტინოდების დონე. კაროტინოდები ბუნებრივი კრისტალებია, რომელთაგან ზოგიერთი A ვიტამინად გარდაიქმნება.

რაციონში კაროტინოდების შესაბამისი დონე ანგესრიგგბს მხედველობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამართულ მოქმედებას და მეტიც, ზოგიერთი სახის სიმსივნეთა პროფილაქტიკაცასაც.

მეთოდი „კონტროლირებადი დეფი-
ციტი“ გულისხმობს სარწყავი წყლის
შემცირებას მცენარის განვითარების
იმ სტადიაში, როცა შედარებით ძლი-
ერი და ამტანია და სარწყავი წყლის
მოცულობის გაზრდას მაშინ, როცა
სტრესისადმი უფრო მგრძნობიარეა.
შედეგად სარწყავი წყლის რაოდენო-
ბა ნახევრდება.

კვლევის შედეგებს უკვე ცდიან

და პრატიკუში ნერგავენ ესპანელი
ფერმერები, რომლებიც მუდმივად
განიცდიან ტენის დეფიციტს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს
მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანი
იქნება ზეთისსხილის და ნუშის წარ-
მოებაში, რომელთათვისაც შეიძლე-
ბა ნყლის ნორმის მინიმალიზება.

Бърз: farmer.pl

၁၄၆၀၆၀၈ၦ



თავად არსენი ვეტერექიმია და ამ საქ-
მეს უკვე 30 წელია ემსახურება რო-
გორც თავად ამბობს, მამის გზას მიჰ-
ყება, რომელიც ასევე ვეტერინარი
ექიმი გახლდათ.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ არსენი თავის საქმიანობას უფრო ფართო მასშტაბით აფასებს, როგორც დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ასპექტს და არა მხოლოდ როგორც საკუთარ ბიზნესს. სწორედ ეს გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ მის კონკურენტულ უპირატესობად, რაშიც თავად არსენიც გვეთანხმება: „ვეტერინარულმა აფთიაქმა მყარად და წარმატებულად რომ იფუნქციონიროს, პირველ რიგში, გამოცდილი ვეტექიმია საჭირო და მეორე, არ უნდა გეზარებოდეს მუშაობა, თუნდაც ოპერაციებზე, კასტრაციასა თუ ოვარექტომიაზე. ეს ჩვენი ბიზნესისთვის იგივე რეკლამაა. თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ ორიენტირებულები ვართ გლეხი ფერმერი გახდეს“ – გვიამბობს არსენი.

„ჩვენ გვსურს გლეხი ფარმარი გაცდას“ - პრეზენტაცია

დღეს არსენ ლოზაძეს გაგაცემისთვის, რომელმაც ათი ცლის ნინათ ქალაქ ქარელში ვერაფორმირა დააფუძნა და დღემდე სტანილურად ემსახურიანა მომხდარებელს.

არსენის გუნდი კონსულტაციას უწევს როგორც ვეტაფთიაქში მოსულ მომხმარებელს, ასევე ადგილზე, უშუალოდ მეურნეობაში ეხმარება მათ. ისინი პარალელურად ხელოვნურ განაყოფიერებაზე მუშაობენ, რომელიც მოსახლეობაში უფრო და უფრო პოპულარული ხდიება.

როგორც არსენი ხელოვნური განა-
ყოფიერებისა და სელექციის შესახებ
გვევტნება, პოლო ხანს მოსახლეობა
საკმაოდ აქტიურად მიმართავს სე-
ლექციასა და ხელოვნურ განაყოფიე-
რებას. ამ პროცესების სწორად წარ-
მართვისთვის თავდაპირველად ფერ-
მერს კონსულტაციას უწევენ, შემდეგ
საკვებდანამატებს აძლევენ, რათა
საქონელი კონდიციაში იყოს და ასევე
უნიშნავენ შესაბამის პრეპარატებს,
რომ ახურების პროცესი კონდიციას
და მათ ჩვეულებრივ ზრდა – განვი-
თარებას ემთხვეოდეს.

ქარელში მდებარე ვეტაფთიაქსაც
ყველაზე მეტი მომხმარებელი სწორედ
გაზაფხულის პირას – გაზრდილი შობა-
დობის პერიოდში ჰყავს: „გაზაფხულ-
ზე მოთხოვნა უფრო მაღალია. ურთი-
ერთობა ბევრ კომპანიასთან გვაქვს,
როგორც თქვენთან – „როქთან“, ასევე
„კავკასიის გენეტიკასთან“, კომპანია
„სანოსთან“, „სუპერვეტთან“ – აღნიშ-
ნავს არსებ ნოზაძე.

რაც შექება მომხმარებელს და მა-
თი ცოდნის დონეს ვეტერინარიასა
თუ აგრონომიაში, არსენი გვიყვება,
რომ დღეს სიტუაცია 10 წლის წი-
ნანდელთან შედარებით საკმაოდაა
შეცვლილი. საქმიანობის დასაწყისში
ძალიან უჭირდათ ფერმერის დარწ-
მუნება საკვებდანამატისა თუ პრეპა-
რატის სანდოობაში, განსაკუთრებით
კი საკვებდანამატების საკითხს უყუ-
რებდნენ ეჭვის თვალით. მაშინ თა-
ვიანთი ცოდნით, ძალისხმევით, ენ-
თუზიაზმით და, რაც მთავარია, ფერ-
მერთა კონსულტაციით სიტუაციის
შემობრუნება შეძლეს და დღეს უკვე
იქამდე მივიღნენ, რომ ამ საკვებდა-
ნამატებზე დიდი მოთხოვნაა და ფერ-
მერებიც მეტად წარმატებულნი არი-
ან.

სამომავლოდ არსენი გაფართო-
ებაზე ფიქრობს. მისი სურვილია
მოთხოვნა გაიზარდოს როგორც
ვეტერანარატებზე, ასევე კონსულ-
ტაციების მიღებაზე: „ვცდილობთ
განათლებით, კონსულტაციით ფერ-
მერი შრომისკენ შემოვაპრუნოთ, არ
გაზარმაცდნენ, პირიქით, ჩართუ-
ლები იყვნენ, იშრომონ და თავიან-
თი პროდუქცია, ანუ საკვები თავად
შექმნან“.

ମାର୍କୋଟ ତଥା ଜାଗନ୍ନାଥ



ქართული აპრეშემი მეტი ყურადღების ღირსიანი

ალექსანდრი ცირილის გამოქვეყნის მიზანია აპრეშემის მოსაზრებას, რომ მემკრებულობა, როგორც დარგი, მომგებიანი არ არის. გაზით „რეზონასში“ 2018 წლის 09 მარტის ნოაპრენი გამოქვეყნდა ინ-ფორმაცია სათაურით: „მ. გ. გოგიაშვილი – მემკრებულობა მომგებიანი არ არის“.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი და ეხლა საპარტნიორო ფონდის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ბატონი მირიან გოგიაშვილი აცხადებს, რომ „მე-აპრეშუმების დარგის მომგებიანობა ამ ეტაპზე შედარებით დაბალია და თუ სახელმწიფოს გააჩნია ნება, რომ ალადგინოს გარკვეული მიმართულება, სუბსიდია უნდა განახორციელოს“ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მემკრეშუმების საქართველოში თხუთმეტ საუკუნოვანი ისტორია აქვს და ის ყოველთვის განიხილებოდა, როგორც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ოჯახის ფულადი შემოსავლების ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების წყარო. მაღალსარისხოვანი ქართული აპრეშუმი დიდი მოწოდებით სარგებლობდა და მსოფლიო ბაზარზე უფრო მეტიც, დიდი აპრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა. „საქართველოს მმართველი უცხოელ დამპყრობელებს აპრეშუმით უზიდინენ ხარეს“, ხოლო ისინი ქვეყნის ეკონომიკის დაცემისა და ხალხის დამორჩილების მიზნით, ვაზთან ერთად თუთასაც ჩეხდნენ.

ქართულმა აპრეშუმმა 1850 წელს ტურინის და 1862 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენებზე განსაკუთრებული ქება და მედლები დამსახურა. 1998 წელს თუთის აპრეშუმშვევიას ქართული ჯიშების („მზიური

1“ და „მზიური 2“) პარკიდან მიღებული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა ესპანეთში ეეროპის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო – პლატინის ვარსკელავი დაიმსახურა.

საქართველოში მემკრეშუმების განვითარებას სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებდა მცირე მინიანობა და სოფლად დაუსაქმებელი მუშახელის სიჭარბე. სამწუხაროდ ჭარბი მუშახელის პრობლემა დღეს უფრო მნიშვნელი დგას, ვიდრე ნარსულში, რაც მემკრეშუმების აღორძინების პარალელურად მნიშვნელოვნად შემცირდება. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მემკრეშუმების ნაწარმის დამზადებაში დასაქმებული იყო 120 ათასამდე ოჯახი, ხოლო აპრეშუმის მრეწველობაში კი – 5-6 ათასი კაცი. აღნიშნულ პერიოდში ყოველწლიურად ინარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და დარგიდან ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მილიონ მანეტს შეადგენდა. დარგში კონცეტრირებული იყო მძლავრი ინტელექტუალური რესურსი და სოლიდური კაპიტალდაბანდები.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, მემკრეშუმება საქართველოში ყოველთვის იყო მომგებიანი სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების პირობებში. მას უამრავი ეკონომი-

კური რეზიერვი გააჩნია აპრეშუმის პარკის, აპრეშუმის ძაფის, აპრეშუმის გრენის და ბოლოს აპრეშუმის ქსოვილის ექსპორტის შემთხვევაში.

დღეისათვის მემკრეშუმების დარგი განადგურებულია. მასზე ზრუნვა მეცნიერების და ცალკეული ენთუზიასტი პრაქტიკოსების იმედად არის მიტოვებიული. მიუხედავად ამისა, მემკრეშუმება ისეა ფესვგადგმული ქართველი კაცის ყოფაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან მცირედი ხელშეწყობის პირობების შექმნის შემთხვევაში იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს ეკონომიკაში.

როგორც აღინიშნა, მემკრეშუმების დარგის მდგომარეობა კრიტიკულია, რაც გამოწვეულია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში (1964 წ) თუთის ხის დაავადება „ნვრილფოთოლა სიხუჭუჭით“, რომლის შედეგად ქვეყნაში ამოძირება 15 მილიონი თუთის ხეს, ხოლო შემდეგ საკვები ბაზის განადგურებით (რომელიც სამწუხაროდ 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდა). შემდგომში წარმოიშვა მიწების პივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სუბიექტური მიზეზები, რასაც დარგის სრული დაცემა მოჰყვა. მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირებით გამოწვეული ზარალი ვერ აინაზღაურა სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლებით, რამაც უფრო დაამძიმა მდგომარეობა. მთლიანად მომშალა გრენის, პარკისა და თუთის სარგავი მასალის წარმოება, განადგურდა აპრეშუმის მრეწველობა, შეწყდა ნატურალური ბოჭკოს წარ-



მოება და ინვესტიციების მოზიდვა, შეწყვიტა ფუნქციონირება სააქციო საზოგადოება „საქაბრეშუმბა”, საფეიქრო ინსტიტუტმა და აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითმა ფაკულტეტმა. კულტურის სამინისტროს გადაეცა მეაბრეშუმეობის უნიკალური მუზეუმი (რომელიც საბედნიეროდ დღეს წარმატებით ფუნქციონირებს) და სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამას დაემატა მეაბრეშუმეობის დარგის მიმართ არასწორი მიდგომები. ასე მაგალითად, თავიდანვე მცდარი იყო იმ მაღალჩინოსნების არასწორი მოსაზრების პროპაგანდა – თითქოს მეაბრეშუმეობა ვერ გაუძლებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და დაილუპებაო, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ამასთან, როგორც იტყვიან, „ცეცხლს ნავთი დაასხა“ გაზეთში გამოკვენებულმა ინფორმაციამ „მ. გოგიაშვილი-მეაბრეშუმეობა მომგებიანი არ არის“, რომელიც საბოლოოდ ასამარებს მეაბრეშუმეობის დარგს. სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ მეორდება ერთნახევარი საუკუნის წინანდელი შეცდომა, რაც დაავადება „პეპრინის“ გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ბატონ მ. გოგიაშვილის მიერ გაანგარიშებული ბიზნეს გეგმით თუ ვიმსჯელებთ, დარგი სახელმწიფოს ნების მიხედვით უნდა იყოს სუბსიდირებული და ამას ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი აზრით ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე, შემდეგ დარგი თვითონ შეინახავს თავის თავს და სახელმწიფოსაც დიდ მოგებასაც მოუტანს. მეაბრეშუმეობა არ არის კენკრის ან მოცვის განვითარების პროექტი, სადაც რამოდენიმე წელიწადში მოგებას დებულობენ, მა-

გრამ მარწყვის, ან ჟოლოს და მოცვის შედარება მეაბრეშუმეობის ყოფილ მასშტაბებთან (45 ადმინისტრაციული რაიონი, 670 კოლმეურნეობა, 201 მეურნეობა – 1975 წლის მონაცემები) შეიძლება? დარგთან, რომლის აღორძინებას რამოდენიმე წლები და ეტაპები სჭირდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას უკვე რამდენიმე წელია გამოცემული აქვს „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში“, მეაბრეშუმეობისადმი მიძღვნილი რეკომენდაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე, მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საინვესტიციო პროექტები ხონის და ვანის რაიონებში, სამი მონოგრაფია საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის, აღდგენისა და განვითარების მიმართულებით და ა.შ., მაგრამ დღემდე ამ მასალებით არავინ დაინტერესებულა და იცით რატომ? მეაბრეშუმეობა პირველავე წელიწადში მომგებიანი რომ არ არის. აი, ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჯერ-ჯერობით მეაბრეშუმეობის აღდგენა განვითარებას ქვეყანა ვერ ინწყებს.

აკადემიის ინიციატივით აჭარაში წელს ჩატარდება თუთის აბრეშუმებევენის საცდელ-საჩქენებლი გამოკვება მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ჩატარდება სწავლება და ტრინინგები მეაბრეშუმეობით დაინტერესებული მოსახლეობისათვის, განხორციელდება წედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა ქართველი მეცნიერების, ბატონი ჯიმშერ ჩხაიძის მიერ ქვეყნის მეაბრეშუ-

მეობისთვის შეძენილ დანადგარზე, რომელიც დღეს აჭარაშია. აკადემიის ინიციატივით და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კეთილი ნებით, ქ. ბათუმში 2019 წლის აპრილში გაიმართება შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის ქვეყნების (სულ 27 ქვეყანა) მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე სტუმრები აზიის და ევროპის ქვეყნებიდან და ეს კონფერენციაც საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და განვითარებაზე იმსჯელებს, ვინაიდან ქართულ აბრეშუმს ხარისხით მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს.

თუმცა, საბაზრო ეკონომიკის განმტკიცების დღევანდელ ეტაპზე ვითარება შეიცვალა, დარგის აღორძინება სახელმწიფოს ინტერესებში მოიაზრება და ეს სულყოფილად უნდა გამოიყენოთ.

ზემოთ აღნიშულიდან გამომდინარე არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ ქართული აბრეშუმი რენტაბელური იქნება, თუ აკადემიის ძალისხმევას ხელი შეეწყობა მეაბრეშუმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესამუშავებლად, აგრეთვე მის მიერ შემოთავაზებული პროექტებით სერიოზულად დაინტერესდებიან, როგორც ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურები, ისე ინვესტიციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საკითხებით ძალზე დაინტერესებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II, რომელიც თავის მხრივ ცდილობს ინვესტორების მოძიებას და მათ, მეაბრეშუმეობის როგორც სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგით, დაინტერესებას.

გ. აღმაშენებები,
აკადემიკოსი;


გ. პავარიტებები
აკადემიკოსი;

გ. ნიმუშითვები
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

გ. გაფარმიტებები
აკადემიკოსი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

შპს “აგროცენტრი”
გთავაზობთ პაკისტანის ფარმაციის
იონჯის თესლს ალფა ალფას
25 პგ-იანი დაფასოებით



თესლი არის 7 წლიანი და ლურჯ ყვავილიანი, საუკეთესო ხარისხის. როგორც ცნობილია პაკისტანი იონჯის სამშობლოა და **“kohenoor international”** არის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი იონჯის თესლის მსოფლიოში.


ალფა ალფას იონჯის თესლი შეგიძლიათ შეიძინოთ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში.

ტელ.: 597 99 29 23



AGROTEKС®

გსურთ მიიღოთ აღრეული, საღი და უცვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი პალეოპის ფართო ყაორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარევალებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძლებს სასურველ კლიმატს მცენარის უპეტესი აღმოცევებისა და განვითარებისათვის, გაგიზრდით მოსავლიანობას, დაგიზოგავთ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

WWW.AGROTEKS.RU.

დაგვიკავშირდით:
599 529 529 / 599 761321;
E-mail: tmikadze@yahoo.com